

№ 2-76.

53



საქართველოს  
საგარეო ურთიერთობების  
10

საქართველოს  
საგარეო ურთიერთობების

1924



პარიზის კომუნა და ოქტომბრის რევოლუცია.  
 ეჟენ პოტიე—ინტერნაციონალი.  
 კარლ მარქსი—პარიზის კომუნა.  
 ლუიზა მიშელ—ვერსალი.  
 ანრი როშფორ—ჩემს მეზობელს „ვირგინიაზე“.  
 პარიზის კომუნა (ისტორიის ფურცელი).  
 ლენინი—რაშია კომუნარების გმირობა.  
 ტრისტან მაჩაბელი—პარიზის კომუნა და მწერლობა.  
 ნარკანი—პარიზის კომუნა.  
 ალი არსენიშვილი—პარიზის კომუნის გმირები.  
 ილია ჭავჭავაძე—პარიზი.

ვალერიან გაფრინდაშვილი—კომუნარებს.  
 ლელი—კომუნარების სასაფლაოზე.  
 ზაქარია ჭიჭინაძე—კომუნა და ქართველი საზოგადოება.  
 ქ.—პარიზის კომუნა და ხელოვნება.  
 ირ. ვედოშვილი—ან ჩვენ ან მტერი.  
 ევროპის პოლიტიკური მოღვაწენი და მწერლები ლენინზე  
 ან. ერისთავ-ხოშტარიას იუბილე.  
 ქართველ მუსულმანთა დამხმარე კულტურული საზოგადოების დამფუძნებელი კრება.  
 ქრონიკა, ილუსტრაციები და კარიკატურა.

შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის გამოცემა

საქართველოს

ისტორიული

რუსეთი

1-ლი საუკუნიდან ქრისტეს წინ. — 1873 წლ. ქრისტეს შემდეგ:

რუსეთის შესდგება ნ დიდ თაბახიდან და შესრულებულია მხატვრულად ექვს ფერად კარგ ქალაქზე.

ფ.სი კერძო ზირთ — 10 მან. ჩერვ.  
 დაწესებულებებს — 8 „ „

შეძენა შეიძლება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში ოთახი № 25



რ-76.

# საბჭოთაო



## მუშაკომუნისტური სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი.

<b>განცხადების ტარიფი:</b>	<b>ხელის მოწერა:</b>	<b>რედაქციის და კონტორის მისამართი:</b>
ერთი გვარდი . . 100 მ. ჩქრ.	საში თვით . . 1 მან. 20 კ. ჩქრ.	ბრუსთაველის პრ. № 22.
ნახევარი გვარდი . 50 მ. „	ერთი თვით . . . 40 კ. „	მიიღება სკლის მოწერა დილის 9—3 საათამდე.
მკლთხედი გვარდი . 35 მ. „	ცალკე ნომერი ყველგან 20 კ. „	

№ 10

სამუშაბათი, 18 მარტი 1924 წ.

№ 10

### პარტიის კომუნა და მუშაკომუნისტური რევოლუცია.

137.

“რაც არ უნდა მოხდეს, ძმებო და დებო, თქვენი საქმე არ დაიღუპება, რადგან იგი მუშათა მსოფლიო განთავისუფლების საქმეა.“


ქვენის „მიმართვიდან—პარტიის მუშებს.“  
„არა, თქვენ არა ხართ ყაჩაღთა, მკვლელთა და მძარცველთა ბრბო! თქვენ მოწინავე რაზმი ხართ იმ ჯარისა, რომელიც უკვე ამხედრებულია მსოფლიოს განთავისუფლების საქმისათვის.“

ჭანოვერის სამათას-ან მუშათა მიტინგზე მიღებულ მიმართვიდან „საფრანგეთის მუშებს.“  
„რაც არ უნდა იყოს, ეხლანდელი პარტიის ამბოხება ჩვენი პარტიის დიდებულ ღვაწლად დარჩება, ძველ წესწყობილების მგლებმა, ღორებმა და საზიზღარმა ქოფაქებმა კიდევ რომ დაამხონ იგი.“  
მარქსის წერილიდან კუგელმანთან.

მუშათა კლასმა გადაიტანა უსასტიკესი ბრძოლები, გზა და გზა ნაწილობრივი გამარჯვება და მძიმე დამარცხება იგემა, რომ ბოლოს მიეღწია დღევანდელ მდგომარეობამდის, როცა მას მტკიცედ და შეურყევლად ხელთ უპყრია დედა მიწის მეექვსედი. ამ ეკლითა და სიკვდილით მოფენილ გზაზე ერთი უმესანიშნავესი და მეტად მნიშვნელოვანი ეტაპია 1871 წლის პარტიის კომუნა. „ეს იყო,—ამბობს მარქსი,— პირველი რევოლიუცია, სადაც მუშათა კლასი ცნობილი იყო ერთად ერთ კლასად, რომელსაც კიდევ შერჩენოდა საზოგადოებრივ ინიციატივის უნარი“. დიახ, ეს იყო პროლეტარული, სოციალისტური რევოლიუცია, მუშათა პირველი მსოფლიო ისტორიული ცდა ძალა უფლების ხელში აღებისა და მუშურ სახელმწიფოს ორგანიზაციისა, ეს იყო პირველი პროლეტარული რესპუბლიკა. აი რატომ ეპყრობოდნენ პარტიის კომუნას უალრესის პატივისცემით და მოკრძალებით მარქსი, ენგელსი და ყველა ჭეშმარიტი მეგობარი მეტროპოლ პროლეტარიატისა. „თქვენ გინდათ იცოდეთ რა არის პროლეტარიატის დიქტატურა?—ამბობს ენგელსი. შეხედეთ პარტიის კომუნას. ის პროლეტარიატის დიქტატურაა“... ამბობებულმა პარტიის

კომუნარებმა პირველი გენერალური ბრძოლა გაუმართეს კაპიტალს, ბურჟუაზიის „წმიდათა-წმიდა“ უფლებების ჩამორთმევა განიზრახეს, „ნაკურთხ“ კერძო საკუთრების ხელის შეხება გაბედეს. აი რატომაა ის მხეცური კბილთა ღრჭენა და გაცოფებული ზიზლი, რომლითაც იღრჩობიან პარტიის კომუნარების ხსენებაზე ყველა „მგლები, ღორები და საზიზღარი ქოფაქები ძველ წესწყობილებისა.“ ვერსალის ჯალათებმა და ბურჟუაზიის ღორებმა არ იკმარეს კომუნარების სისხლში ჩახრჩობა, მათი წამება და დახვრეტა, არამედ თავიანთ მოსყიდულ მჯღაბნელთა და მწერლუკების საშუალებით მოინდომეს მათ ხსოვნის შეგინება და ტალახში გასვრა. სულგრძელი, უანგარო და გულუბრყვილობამდე პატიოსანი ადამიანები მათ უნდათ მკვლელებად და მძარცველებად დახატონ. როგორც ნიმუში ასეთ „ნაწერისა“ შეიძლება მოვიყვანოთ რამოდენიმე ბჭკარი „პარტიის თრთოლვის“ წინასიტყვაობიდან ერთ „აკადემიკოს“ დიუ-კანის, რომელსაც არ შეხარებია ოთხი ტომი მიეძღვნა კომუნის „საშინელ მხეცობის“ აღწერისათვის. „კომუნის ნამოღვაწარი,—სწერს ეს ბურჟუაზიის სწავლული ლაქია,—არ შეიძლება მიეკუთვნოს პოლიტიკის დარგს; იგი უკლებლივ ატარებს სისხლის სამართლის საქმის ხასიათს“-ო. შავრაზმელთა ენაზე, რასაკვირველია, სისხლის სამართლის საქმე ეწოდება ყოველივეს, რაც მიმართულია კერძო საკუთრების წინააღმდეგ და აწარმოებს მძარცველთა გაძარცვას. ტყვილა ხომ არ ეძახდნენ კომუნის მთავრობის წევრებს „კომუნისტებს“, „საერთო დაყოფის მომხრეებს“, „სისხლის მსმელებს“. ბურჟუაზიას, რომელსაც ყოველთვის ეშინია კომუნის მისი აჩრდილის, აფრთხობდა დახვრეტილ და განაწამებ გმირთა ლანდები, რადგან მან იცოდა, რომ გადამხდელი უთუოდ მოვიდოდა. და იგი მოვიდა კიდევ 1917 წელში რუსეთის პროლეტარიატის სახით, რომელმაც მოახდინა ძღვევამოსილი რევოლიუცია და დააარსა პირველი საბჭოთა რესპუბლიკა. თუ პარტიის კომუნა შიილი იყო მარქს





კარლ მარქსი.  
პირველი ინტერნაციონალის დამაარსებელი.




დამაარსებელი მესამე ინტერნაციონალის და დიდი ოქტომბრის შემქნელი

სის ინტერნაციონალისა, დიადი ოქტომბრის რევოლიუცია არის საქმე მე-III კომუნისტურ ინტერნაციონალისა, რომელსაც ჭეშმარიტად დაერქვა ლენინის ინტერნაციონალი, რადგან მან დაისახა თავის დროშათ ლენინის პრინციპები.

პარიზის კომუნა გასრისეს, დაამსხვრიეს. და ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ იმაში, რომ მაშინ ჯერ კიდევ არ იყო მაგარი კომუნისტური პარტია, რომელიც შესძლებდა ამბოხების მოწყობას და ხელმძღვანელობას, და ამბოხება ხომ—ეს თავისებური ხელოვნებაა.

არ იყო ჩამოყალიბებული პროლეტარიატი, ძალა უფლების აღებისათვის და შერჩენისათვის მომზადებული და მომწიფებული. არ იყო, ეხლა ჩვენთვის ცხადი, მაგრამ მაშინ კიდევ შეუგნებელი პირობები პროლეტარულ რევოლიუციის სრული გამარჯვებისათვის: განმარტოებულმა მუშათა პარიზმა აღმართა ამბოხების დროშა. „იყო—ამბობს დიუბრეილი—სოციალისტური დედაქალაქი, მაგრამ არ იყო სოციალისტური ქალაქური საფრანგეთი“. თუ პროვინციის ქალაქებმა მხარი არ დაუჭირეს დედაქალაქს, კიდევ უფრო ცუდათ იყო სოფლის საქმე, რომელიც თავის დაჩლუნგებულ გონების წყალობით ამბოხებულ პარიზის წინააღმდეგ წავიდა. ამრიგად ქალაქის მუშათა კავშირს სოფლის პროლეტარულ ელემენტებთან და საშუალო გლეხობასთან არ ჰქონდა ადგილი პარიზის კომუნის დროს, რაც სავსებით იყო განხორციელებული ოქტომბრის რევოლიუციის დროს და ურომლისოდაც შეუძლებელია სრული გამარჯვება. თითონ კომუნის მებრძოლები და ხელმძღვანელები, მიუხედავად იმისა, რომ ბურჟუაზია ცდილობს მათ წარმოდგენას სამარცხვინო გაშუქებით, მეტად სულგრძელი იყვნენ თავის მტრებისადმი, რასაც აღნიშნავს მარქსი. აი ამაში მდგომარეობდა კომუნის შეცდომები, მუშათა მოძრაობის გარჩევაზე დაბადე-



მ. ბაკუნინი.  
პირველი ინტერნაციონალის წევრი.

ბული. ეს გამოცდილება გაითვალისწინეს ბოლშევიკებმა, რომელთაც აიღეს ხელისუფლება პარიზის კომუნის შემდეგ ნახევარ საუკუნით. ძლივამოსილად წინ მიმავალი ოქტომბრის რევოლიუცია და საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი, მიუვალ კლდედ დამდგარი—პარიზის კომუნის საქმის გაგრძელებაა. ამ შენობის დაქცევას ვერ შესძლებს ვერავითარი ბურჟუაზია. პარიზის კომუნართა საგმირო საქმის სრულ დაგვირგვინება, ხელთუქმნელი ძეგლი რომ დასდგეს მუშათა კლასის დიად გულში, მოხდება მაშინ, როდესაც კომუნის დროშა გახდება დროშათ დასავლეთის განთავისუფლებულ პროლეტარიატისა და ბორკილებ აყრილ აღმოსავლეთის მონებისა. ეს დღე ჭეშმარიტად იქნება „დიად ზეიმის დღე, დღე გამარჯვებისა დამარცხებულ პარიზის კომუნის“.





## ინტერნაციონალი.

თარგმანი ფრანგულით ვალერიან გაფრინდაშვილისა.

ეს არის ბრძოლა უკანასკნელი:  
გავერთიანდეთ! სიკვდილი ღალატს!  
კაცობრიობა გახდება მთელი  
სანატრელ ინტერნაციონალად.

1.

თავი ასწიეთ, მშრომელნო, მაღლა!  
შიმშილის, ბედის კატორღელებო!  
ჩვენი გონება მძვინვარებს ახლა,  
როგორც ვულკანი და გახელება.  
გადავაქციოთ ჩვენ წმინდა დაფათ  
წარსული. ვსძლიოთ სასტიკი მტერი!  
ბრბოვ მონებისა, აღსდევი სწრაფათ,  
და მოვიპოვოთ ჩვენ ყველაფერი!

2.

ჩვენ არ დაგვიხსნის ძალა ციური.  
ძირს კეისარი, ტრიბუნი, ღმერთი!  
თვითონ გავჭედოთ ბედი მზიური  
და გაიმარჯვებს კომუნა ერთი!  
ტუსალმა იხსნას თავისი თავი  
და უკუაგდოს მან საპყრობილე!  
დავანთოთ ქურა ცეცხლით მგრგვინავი,  
გავჭედოთ რკინა — ბრძოლის მხმობელი!

3.

თვით სახელმწიფო არის ყაჩაღი,  
ჩვენი უფლება — ხმა ცარიელი.  
თავზე გვეცემა, როგორც ნაჯახი  
ყალბი კანონი — მდიდართა მცველი.  
ძირს მზრუნველები! დავგმოთ ტყვეობა!  
თანასწორობა ჩვენ ახლა გვინდა.  
დე, იყოს მუდამ მოვალეობა  
და მასთან ერთად უფლება წმინდა!

4.

ამშვენებს მდიდრებს ფარჩა, ბისონი.  
ეხლა მათია მთელი მსოფლიო.  
ჩვენი ნაშრომით უსინდისონი  
სტკბებიან და ეს — ჩვენი ოფლია!  
იმათ ყუთებში არის ყოველი,  
რაც შექმნა შრომამ თავის დიდებით.  
ვადგენთ: სიმდიდრე, აქ მოგროვილი,  
ხალხს დაუბრუნდეს ჭეშმარიტებით.



5.


მეფენი ღვრიან სისხლს ნეტარებით.  
 მშვიდობა—ყველას! ბრძოლა—ჯალათებს!  
 ჩვენ გავაუქმეთ ომი, ჯარები.  
 სიკვდილი ყველას, ვინც გვიღალატებს!  
 კაცთმჭამელები და კალიები  
 ირაზმებიან მეტ გაშმაგებით,  
 მაგრამ ნახავენ: ცხელი ტყვიებით  
 შეუპოვარნი დავეტაკებით!

6.

მიწა გვეკუთვნის ჩვენ და ჩვენ მხოლოდ,  
 ვინცა ვართ მიწის, ქარხნის მშრომელი.  
 მუქთახორები უნდა ჩავქოლოთ—  
 იქნება ბრძოლა დაუდგრომელი!  
 სასტიკი მეხი როს გავარდება,  
 როცა გაწყდება მუქთახორები:  
 მხეცნი, ყორნები, ავი ქორები—  
 მზე სამუდამოთ აელვარდება!

ეს არის ბრძოლა უკანასკნელი.  
 გავერთიანდეთ! სიკვდილი ღალატს!  
 კაცობრიობა გახდება მთელი  
 სანატრელ ინტერნაციონალად!

პოეტი-კომუნარი ეჟენ პოტიე.



კომუნის გამოცხადება ქალაქის გამგეობის წინ და ნაციონალურ გვარდიის პარადი.





# პარიზის კომუნა.

1871 წლის მარტის 18-ს დილით პარიზი გააღვიდა მკუხარე ხმებმა: „გაუმარჯოს კომუნას!“ რაა ეს კომუნა, ეს სფინქსი, რომელიც ისე მძიმე, თავსატეხ ამოცანას აღლევს ბურჟუაზიულ ტვინს?

„პარიზის პროლეტარები“, სწერდა თავის მანიფესტში 18 მარტს ცენტრალური კომიტეტი, „ხედავდნ რა გაბატონებული კლასების ლალატს და დამარცხებას, მიხვდნ, რომ დადგა დრო, როცა თითონ მათ თავისი ინიციატივით საზოგადოებრივ საქმეთა საკუთარ ხელში აღებით... უნდა დაიხსნან ქვეყანა... ისინი მიხვდნ, რომ ეს მოვალეობა მათ აქვთ დაკისრებული, რომ მათ ეკუთვნით უცილობელი უფლება გახდნ თავიანთი ბედის ბატონპატრონი და თითონვე აიღონ ხელთ სახელმწიფო ძალაუფლება“.

ცოცხმა აღგავა წარსულ საუკუნეთა უსარგებლო ნაგავი და ამნაირათ საზოგადოებრივი ნიადაგი უკანასკნელ ხელშემშლელ პირობათაგან გაწმინდა, რომ აგებულ იქნას თანამედროვე სახელმწიფოებრივი შენობა. ამ შენობის აგება ჯერ ისევ პირველი იმპერიის დროს დაიწყეს, ხოლო თვით ეს მეორე იმპერია თავის მხრივ ახალი საფრანგეთის საწინააღმდეგო, ძველი ნახევრათ ფეოდალური ევროპის კოალიციური ომებით იყო გამოწვეული. ბატონობის ფორმის შემდეგი განვითარების დროს მთავრობა დაუმორჩილეს პარლამენტარულ კონტროლს, ე. ი. მკონებელი კლასების პირდაპირ კონტროლს. მეორე მხრივ იგი გახდა აღურაცხელი სახელმწიფო ვალების და მძიმე გადასახადების წყარო, იგი სადაო და საცილობელი ას-



მილიერი. მუშა. კომუნის წევრი. დახვრიტეს გაუსამართლებლად.

დელაკლიუზი შარლ ლუი. პარიზის კომუნის წევრი, უკანასკნელი დამცველი და მსხვერპლი შატო დ'ოს ბარიკადისა.

მაგრამ მუშათა კლასს არ შეუძლია პირდაპირ დაეუფლოს მზამზარეულ სახელმწიფოებრივ მანქანას და მობართოს იგი თავის საკუთარ მიზნების სასამსახუროთ.

სახელმწიფოს ცენტრალური მთავრობა თავისი ყველგან მყოფი ორგანოებით, რომლებიც შრომის იერარქიული და სისტემატიური განაწილების პრინციპზეა დამყარებული: რეგულიარული არმიით, პოლიციით, ბიუროკრატით, სამღვდლოებით და სასამართლოებით, აბსოლიუტური მონარქიის დროიდან მომდინარეობს, როცა იგი მძლავრ იარაღს წარმოადგენდა ახლათ ჩასახული ბურჟუაზიული საზოგადოებისათვის ფეოდალიზმთან ბრძოლაში. მაგრამ მებატონეთა და თავად-აზნაურთა შთამომავლობითი ხარისხები, მათი ადგილობრივი უპირატესობანი, საქალაქო და ამქრული მონოპოლიები და პროვინციალური წესდებულებანი,—ყველა ეს საშუალო საუკუნეების ნაშთები, აჩერებდა მის განვითარებას. მე-18 საუკუნის საფრანგეთის რევოლიუციის უზარმაზარმა

პარეზი შეიქნა მეტოქე ფრაქციებისა და გაბატონებულ კლასების ავანტიურისტთა წრეებისათვის, რომელთაც მასში თავისკენ იზიდავდა მისი ადმინისტრაციული ძალა, მისი შემოსავლის წყაროები და თანამდებობანი. მეორე მხრით, საზოგადოებაში მომხდარი ეკონომიური ცვლილებების გავლენით მისი პოლიტიკური ხასიათიც შეიცვალა. იმის და კვალად როგორადაც კი თანამედროვე მრეწველობის პროგრესი აფართოებდა და აღრმავებდა კლასობრივ წინააღმდეგობას კაპიტალსა და შრომას შორის, ისე სახელმწიფოებრივი ძალა-უფლებაც სულ უფრო და უფრო მეტათ იხვეჭდა საზოგადოებრივი ძალის ხასიათს მუშათა კლასის დასათრგუნავათ,—ხასიათს იარაღისას კლასობრივი ბატონობისათვის. ყოველი რევოლიუციის შემდეგ, რომელიც კი კლასობრივ ბრძოლაში წინ გადადგმულ ნაბიჯს მოასწავებდა, სახელმწიფოებრივი ძალა-უფლების ხასიათი, როგორც მხოლოდ დათრგუნვის იარაღი, სულ უფრო და უფრო ირკვევა.



კომუნა იყო იმპერიის პირდაპირი წინააღმდეგობა. ლოზუნგი: „გაუმარჯოს სოციალურ რესპუბლიკას“, რომლითაც პარიზის პროლეტარიატი თებერვლის რევოლუციას მიესალმა, გამოხატავდა ბუნდოვან მისწრაფებას ისეთ რესპუბლიკისადმი, რომელიც არა თუ კლასობრივი ბატონობის მარტო მონარქიულ ფორმას მოსპობდა, არამედ — თვით კლასობრივ ბატონობასაც. კომუნაც სწორეთ ასეთი რესპუბლიკის განსაზღვრული ფორმა იყო.

პარიზი, ეს საერთო ცენტრი და ძველი მთავრობის ყოფილი რეზიდენცია და მასთან ერთად საფრანგეთის მუშათა კლასის საზოგადოებრივი ცენტრი, აღსდგა — ამხედრდა იარაღით ხელში ტიერისა და მისი „მემამულეთა პალატის“ მეცადინეობის წინააღმდეგ, რომელთაც მოინდომეს აღადგინონ და განამტკიცონ იმ ძველი მმართველობის ძალა-უფლება, რომელიც იმპერიისგან იყო სამკვიდროდ გადმოცემული. პარიზს შეეძლო გამკლავებოდა ვერსალს მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მტრისგან ალყის შემორტყმამ მას ჯარი ჩამოაშორა, რომლის ადგილი მაშინ ნაციონალურმა გვარდიამ დაიკავა და ეს უკანასკნელი კი უმეტესად მუშებისგან დგებოდა. ეს ფაქტი მკვიდრ დაწესებულებად უნდა ექციათ და ამიტომ იყო, რომ კომუნის პირველი დეკრეტი რევოლუციური ჯარის გაუქმების და შეიარაღებული ხალხით მისი გამოცვლის დეკრეტი იყო.

კომუნა შემდგარი იყო მუნიციპალური საბჭოს წევრებისგან (ქალაქის ხმონებისგან), რომლებიც არჩეულ იქნენ პარიზის საარჩევნო ოლქებისგან საყოველთაო საარჩევნო წესით. მისი წევრები პასუხისმგებელი იყვნენ და მათი გამოცვლა-გადაყენება ყოველ ჟამს იყო შესაძლო. მათი უმრავლესობა, რა თქმა უნდა, იყვნენ მუშები, ან მუშათა კლასის ცნობილი წარმომადგენლები. კომუნა პარლამენტარული დაწესებულება კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ საქმიანი კოლეგია, რომელიც, როგორც აღმასრულებელს, ისე კანონმდებელ ძალა-უფლებას ერთ ორგანოში გააერთიანებდა. პოლიცია, რომელიც დღემდე მხოლოდ სახელმწიფოს, მთავრობის იარაღად იყო გადაქცეული და რომელსაც ყველა პოლიტიკური ფუნქციები ჩამოართვეს, კომუნის წინაშე პასუხისმგებელი და მისი იარაღი გახადეს. იგივე ბედი ეწია მმართველობის სხვა დარგების მოხელეებსაც, თვითონ კომუნის წევრებიდან უმცირეს მოსამსახურეებამდე ყველა საზოგადო თანამდებობის პირთ ჯამაგირი მუშის ქირასთან შეუარდებით ეძლეოდათ. უპირატესობანი და წარმომადგენლობაზე დაწესებული დიდი ჯამაგირები, რომლითაც მაღალი ხარისხის მოხელეები სარგებლობდნენ, „დიდკაცობასთან“ ერთად გაქრა. საზოგადო თანამდებობა ახლა ცენტრალური მთავრობის დამქაშთა კერძო საკუთრებად აღარ ითვლებოდა. არა მარტო ქალაქის მართვა-გამგეობა, არამედ მთელი ინიციატივა, რომელიც დღემდე სახელმწიფოს ჰქონდა ჩაბარებული, კომუნაზე გადავიდა.

რევოლუციური არმია და პოლიცია, ეს ძველი მთავრობის მატერიალური ძალის იარაღი გააუქმეს და კომუნა დაუყოვნებლივ სამღვდლოების ძალისა და გავლენის შემუსვრას შეუდგა, იმ ძალისას, რომელიც მხოლოდ სულიერი ჩაგვრის იარაღს წარმოადგენს. მან დეკრეტით ყველა ეკლესიები გააუქმა და მათი ექსპროპრიაცია გამოაცხადა, რამდენათაც ისინი ისეთ კორპორაციას წარმოადგენდნენ, რომელთაც ქონება აქვთ შეძენილი. მღვდლები

კერძო ადამიანთა უბრალო ცხოვრებას უნდა დაბრუნებოდნენ და მათი წინამოადგილეების, ძველი მოციქულების მზგავსათ მორწმუნეების მოწყალებით უნდა ეცხოვრათ. ყველა სკოლები ეკლესიისა და სახელმწიფოს გარეშე იქნენ დაყენებული და ისინი ყველასათვის უფასოდ ხელმისაწვდომი გახადეს. ამნაირათ, სკოლური განათლება ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდა. მეცნიერებას აეხადა ის ხუნდები, რომლებიც მას დადებული ჰქონდა კლასობრივი ცრუ წინააზროვნებით და მთავრობის ძალა-უფლებისაგან. სასამართლოს მოაკლეს ის ვითომდა დამოუკიდებლობა, რომლითაც რიგ რიგობით შეცვლილ მთავრობისადმი მორჩილებას ფარავდა; წინად თუ მსაჯულნი ყოველ ახლად გაჩენილ მთავრობას ერთგულებას ეფიცებოდნენ და იმავე დროს ყოველ მათგანს ლალატობდნენ, ახლა, როგორც სხვა თანამდებობის პირნი, ისე ისინიც არჩეულნი და პასუხისმგებელნი უნდა ყოფილიყვნენ, რომელთა გამოცვლა-გადაყენება ყოველ ჟამს შეიძლებოდა.


ხარჯების ორი უდიდესი სტატიის — არმიისა და ჩინოვნიკობის გაუქმებით კომუნამ ყველა ბურჟუაზიული რევოლუციების იდეალი — იაფი მთავრობის ყოლა — განახორციელა. მისი არსებობა მონარქიის უარყოფა იყო, რომელიც ევროპაში დღეს, სხვა რომ არა ვთქვათ, ჩვეულებრივ მეტ ბარგს და კლასობრივ ბატონობის აუცილებელს საფარს წარმოადგენს. კომუნამ შექმნა საფუძველი ყველა ნამდვილი დემოკრატიული რესპუბლიკის დაწესებულებისათვის. მაგრამ არც „იაფი მთავრობა“ და არც „ქეშმარიტი რესპუბლიკა“ მისი საბოლოო მიზანი არ იყო. პირველიც და მეორეც თავის თავად გაჩნდა, — სხვათა შორის.

კომუნის მნიშვნელობის სხვადასხვა ნაირათ ახსნა-განმარტება, ინტერესების სხვადასხვაობა, რომლებსაც ის გამოხატავდა, მოწმობენ იმას, რომ იგი მეტად გამწევი, სრული სახელმწიფოებრივი ფორმა იყო მაშინ, როდესაც მართვა-გამგეობის სხვა ყველა წინანდელი ფორმები არსებითად ჩაგვრა დამორჩილების იარაღს წარმოადგენდა. მისი საიდუმლოება მდგომარეობს იმაში, რომ იგი არსებითად იყო მუშათა კლასის მთავრობა, შედეგი ბრძოლისა მწარმოებელ კლასსა და მიმთვისებელ კლასს შორის, იყო ის სანატრელი პოლიტიკური ფორმა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იყო შრომის ეკონომიური განთავისუფლება.


კომუნა უკანასკნელი პირობის ჩამოცილებით ვეღარ არსებობს. უმისოდ იგი უსისხლხორცო, ცარიელი აჩრდილია. მწარმოებელთა პოლიტიკური ბატონობა ვერ იარსებებს, თუ სოციალური მათი მონობა ძალაში რჩება. ამიტომ კომუნის საშუალებით უნდა მოსპობილიყო ის ეკონომიური საფუძვლები, რომლებსაც თვით კლასების არსებობა და, მაშასადამე, კლასობრივი ბატონობა ემყარება; რაკი შრომა განთავისუფლდება, ამით ყოველი მოქალაქე მუშა გახდება და ნაყოფიერი წარმოებითი შრომა ერთი რომელიმე განსაზღვრული კლასის განსაკუთრებული თვისება აღარ იქნება.

მუშათა კლასი კომუნისაგან სასწაულს როდი მოიხლოვდა. ის არ ფიქრობს, რომ ხალხის დადგენილებით მზა-მზარეული და ჩამოყალიბებული უტოპიები განახორციელოს. მან იცის: იმისთვის, რომ თავისუფლებას და ცხოვრების უმაღლეს ფორმას მიაღწიოს, რომლისაკენაც შეუჩერებლივ მიისწრაფის თანამედროვე საზოგადოება თა-





რ ა უ ლ რ ი გ ო. პარიზის კომუნის წევრი და პროკურორი. დახვრიტეს 24 მაისს 1871 წ.



ლიუზა მიშელ. ქალი-კომუნარი. გადაასახლეს ახალ კალედონიაში. დასწერა წიგნი „კომუნა“.

ვისი ეკონომიკური განვითარების ძალით, მას მოუხდებოდა მედგარი ბრძოლის გაწევა და მთელი რიგი ისტორიული პროცესების განცდა, რომლებიც ადამიანებსაც და გარემოებათაც სრულიად გარდაქმნიან. მუშათა კლასს მოუხდებოდა არა რომელიმე იდეალის განხორციელება, არამედ გზის გახსნა-გაფართოება ახალი საზოგადოების იმ ელემენტებისათვის, რომლებიც თვითრღვევის პროცესში მყოფ ბურჟუაზიული საზოგადოების წიაღში განვითარდნ.

მუშათა კლასს სავესებით შეგნებული აქვს თავისი ისტორიული მოწოდება და იგი აღსავსეა გმირული გამბედაობით, რომ ამ მოწოდების განხორციელების საქმეს სათავეში ჩაუდგეს და შეუძლია დამცინავი ღიმილით და ზიზღით უპასუხოს ლაქია მეგაზეთეებს მათ საძაგელ ლანძღვა-გინებაზე და იმ ბურჟუა-დოქტრინერების კეთილ-განზრახვებით გამსჭვალულ ვითომდა მეცნიერულ რჩევა-დარიგებაზე, რომლებიც უცოდველ და შეუმცდარ ქურუმ-მკითხავეებით გაჰყვირიან თავის ცრუ ზოგად ფრაზებს და თავიანთ ნათითხნ რეცეპტებს დიდი ამბით წარმოგვიდგენენ.

როცა პარიზის კომუნამ კისრად იღვა რევოლიუციის ხელმძღვანელობა, როცა უბრალო მუშებმა პირველად გაბედეს თავისი „ბუნებრივი უფროსების“, მქონებელ კლასების პრივილეგიების უარყოფა, სახელდობრ მართვა-გამგეობის პრივილეგიის, მაშინ მათ წარმოუდგენელ მძიმე პირობებში მოუხდათ მუშაობა, მაგრამ ასრულებდნ მას მშვიდათ, პატიოსნათ და წარმატებით; მათი უმაღლესი ჯილდოს რაოდენობა იმ ჯამაგირის მიხედვით მეზუთედს არ აღემატებოდა, რასაც თვით ცნობილი ავტორიტეტი მეცნიერის (პროფ. გეკსლის) სიტყვით ლონდონის სამოს-წავლო საბჭოს მდივანი ლებულობდა. ძველი ქვეყანა სიბრაზისაგან სულ ერთიანად მოიკრუნჩხა, როცა მან წითელი დროშა—შრომის რესპუბლიკის სიმბოლო—ქალაქის სამმართველოს შენობის თავზე დაინახა.

ეს იყო პირველი რევოლიუცია, რომელშიაც მუშათა კლასი აშკარად იცნეს ერთად-ერთ კლასად, რომელ-

საც კიდევ შესწევს ძალა საზოგადოებრივი ინიციატივისა. ის იცნო პარიზის მუშათა კლასმა, იცნეს წვრილმა მოვაჭრეებმა, ხელოსნებმა, ვაჭრებმა, ყველამ, გარდა მდიდარი კაპიტალისტებისა. კომუნამ მოვალეებისა და კრედიტორების ურთიერთობის საკითხის, რომელიც შუათანა კლასში მუდამ შფოთსა და აყალ-მაყალს იწვევდა, ბრძნულად გადაწყვეტით იხსნა ეს კლასი. საშუალო კლასის ეს ნაწილი 1848 წელს თუმცა მონაწილეობას იღებდა მუშათა ივნისის აჯანყების ჩაქრობაში, მაინც როგორც კი ჩაახშვეს აჯანყება, დამფუძნებელმა კრებამ ყოველად მოუბოდიშებლად მისცა ის ხელში საჯიჯგნად მათივე კრედიტორებს. მაგრამ ის არა მარტო ამისთვის მიემხრო მუშებს; არამედ იმიტომ,—რომ იგი გრძნობს, რომ მან უნდა ორში ერთი ირჩიოს: ან კომუნა ან იმპერია, როგორი იარლიკითაც არ უნდა გამოვიდეს ეს უკანასკნელი. იმპერიამ გაანადგურა საშუალო კლასი ნივთიერად საზოგადო სიმდიდრის დატაცება-გაფლანგვით, საბირჟო. სპეკულიაციის მფარველობით, კაპიტალის ცენტრალიზაციის ხელოვნურად დაჩქარებით და ამ გზით ამ საშუალო კლასის მოზრდილი ნაწილის ექსპროპრიაციით. იმპერია მას პოლიტიკურად ჩაგრაგდა და ზნეობრივადაც აშფოთებდა იმ საშუალებით, რომელსაც მის წინააღმდეგ ხმარობდა. იგი შეურაცხყოფას აყენებდა მის ვოლტერიანობას იმით, რომ მის შვილებს „უვიც ხუცებს“ აბარებდა აღსაზრდელათ. მან აღაშფოთა მისი ნაციონალური გრძნობა იმით, რომ დაიწყო ეს ომი, რომელმაც ყველა მის მიერ მიყენებულ უბედურებათა სანაცვლოდ დააჯილდოვა იგი მხოლოდ ერთით—იმპერიის დამხობით. პარიზიდან ბონაპარტისტული დიდკაცობის და კაპიტალისტების ხროვას გაქცევის შემდეგ საშუალო კლასის ჭეშმარიტი „პარტია წესიერებისა“, რომელიც „რესპუბლიკანური კავშირის“ სახელით გამოვიდა, კომუნის დროშის ქვეშ დადგა და მას ტიერის ცილისწამებისაგან იცავდა. აიტანს ამ საშუალო კლასის მასა ახლანდელ მძიმე განცდას და უბედურებათ, თუ ვერა,—ამას მომავალი დაგვანახვებს.



კომუნის დიადი სოციალური საქმე თვით მისივე საკუთარი არსებობა, მისი მუშაობა იყო. ცალკე ზომებს მის მიერ მიღებულთ, შეეძლოთ მხოლოდ მიმართულება აღენიშნათ, თუ რა გზით ვითარდება ხალხის მართვა-გამგეობა თვით ხალხისავე საშუალებით. ასეთ ზომების რიცხვს ეკუთვნოდა: მეპურეების ღამით მუშაობის აღკვეთა, მუშებზე დადებული ჯარიმების საშუალებით სამუშაო ქირის შემცირების აღკრძალვა სასჯელის შიშით, ვინაიდან დამქირავებელთა ჩვეულებრივი წესია ისარგებლონ ყოველგვარი მომიზეზებით და დააჯარიმონ მუშა, მით უფრო, რომ თავის თავში ისინი კანონმდებლის, მოსამართლის და აღმასრულებელი ძალა-უფლების მატარებელს ხედავენ და ამავე უფლებით ჯარიმის ფულებს თავისავე ჯიბეში ილაგებენ. ასეთივე ზომა იყო მუშათა ამხანაგობაზე გადაცემა ყველა სახელოსნოებისა და ფაბრიკებისა, რომელთა პატრონები გაიქცენ ან შეაჩერეს მუშაობა; მასთან მათ გამოსასყიდის მიღების უფლება ჰქონდათ.

კომუნის ფინანსური ზომები ანგარიშიანობით და ზომიერებით იყო აღბეჭდილი; იგი უნდა დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ იმ ზომებით, რაც ქალაქის საალყო მდგომარეობასთან იქნებოდა შეთანხმებული. ოსმანის<sup>1)</sup> მმართველობის დროს პარიზის საბანკო კამპანიებისა და ახალი შენობების ამგებთა მიერ პარიზის გაქურდვის გამო კომუნას გაცილებით მეტი უფლება ჰქონდა მათი ქონების კონფისკაციისა, ვიდრე ლუი ბონაპარტეს ორღენელთა ქონების. ის გოგენცოლერნები და ინგლისის ოლიგარხები, რომელთა სიმდიდრის მეტ ნაწილს ეკლესიიდან ნაძარცვი შეადგენს, ძალიან აღშფოთებული იყვნენ კომუნის მოქმედებით, მაშინ, როდესაც მან საეკლესიო ქონებათა კონფისკაციიდან სულ რაღაც 8,000 ფრანკი მიიღო.

ვერსალის მთავრობამ, როგორც კი ცოტათი გული მოიცა და გამაგრდა, კომუნის წინააღმდეგ თვით უსასტიკესი ზომების მიღება იწყო; მან მთელ საფრანგეთში აზრის თავისუფლად გამოთქმა ყოველმხრივ შეაფრთხილა, აღკრძალა კიდევ დიდი ქალაქების დელეგატთა კრებები, მან ვერსალი და მთელი საფრანგეთი ჯაშუშებით აავსო და მასთან ეს საქმე იმაზე უფრო განავითარა, ვიდრე ეს მეორე იმპერიის დროს ხდებოდა. მისი ჟანდარმები-ინკვიზიტორები პარიზში გამოსულ გაზეთებს სწვავედნ და ყველა წერილებს, როგორც პარიზიდან გამოსულს, ისე იქითკენ გაგზავნილს, ხსნიდნ. ნაციონალურ კრებაზე როგორც

<sup>1)</sup> ბარონ ოსმანი მეორე იმპერიის დროს სენის დეპარტამენტის ე. ი. ქ. პარიზის პრეფექტი (პოლიციის უფროსი) იყო, მან განახორციელა თავისი პროექტი, რომელიც ახალ სამუშაოთა მთელ რიგს შეეხებოდა: უმთავრესად ახალი ქუჩების გამართვას, რითაც მას მიზნად ჰქონდა მუშათა აჯანყებასთან ბრძოლა გაეადვილებია.

კი პარიზის დასაცავათ ცოტა რამის თქმა სცადეს, მაშინვე ისეთი ღრიალი ატყდა, რის მსგავსი 1816 წლის „Chambre introuvable“-ში, „მემამულეთა პალატაშიაც“ არ გაგონილა. ვერსალელები არა მარტო სისხლის მსმელ ომს აწარმოებდნ პარიზის წინააღმდეგ, არამედ იმასაც ცდილობდნ, რომ ქრთამებით და შეთქმულების მოწყობით შიგ პარიზშიაც მოქცეულიყვნ. შეეძლო განა კომუნას ასეთ პირობებში ლიბერალიზმის პირობითი ფორმების დაცვა ისე, როგორც ეს ღრმა მშვიდობიანობის დროს შეიძლება შესრულდეს და იმავე დროს ისე, რომ თავის მოწოდებისთვის სამარცხვინოთ არ ეღალატნა? კომუნის მთავრობაც რომ არსებითად ისეთივე ხასიათის ყოფილიყო, როგორც ტიერის მთავრობა იყო, მაშინ, რა თქმა უნდა, საჭიროც არ იქნებოდა „წესიერების პარტიის“ გაზეთის აღკრძალვა პარიზში, ხოლო კომუნის კი-ვერსალში.

კომუნამ რალაცნაირი სასწაულით სულ გადაასხვაფერა პარიზი: მეორე იმპერიის გარყვნილი პარიზი უკვალოთ გაჰქრა. საფრანგეთის დედა ქალაქი ახალ თავშესაფარი პუნქტი აღარ იყო ბრიტანელ მსხვილ მიწათმფლობელთათვის და მეტიჩარებისათვის, რუსეთის ყოფილ მებატონეებისათვის და ვალახელი თავადებისათვის. მორგში ახლა არც ერთი მოკლულის გვამი არა სჩანდა, არც დამამობით ხდებოდა ძარცვა-გლეჯა, თითქმის ქურდობის ერთი შემთხვევაც არა სჩანს. 48 წლის თებერვლის შემდეგ პირველათ მაშინ (კომუნის დროს) შეიქნა შესაძლებელი უშიშრათ გავლა პარიზის ქუჩებზე, თუმცა იქ არც ერთი პოლიციელი არ იდგა. „ჩვენ უკვე არ გვესმის, ამბობდა კომუნის ერთი წევრთავანი, „ამბავი არც მკვლელობის, არც ძარცვა-გლეჯის და არც პიროვნების საწინააღმდეგო დანაშაულობის. ასე გვეგონება, თითქო პოლიციამ წაიყვანა თან ვერსალში ყველა თავისი კონსერვატორი მეგობრები“, ხოლო კეკლუცნი თავის თაყვანისმცემლებს გაჰყვენ უკან, როცა ეს ოჯახის, სარწმუნოების და საკუთრების ბურჯები პარიზიდან გაიქცენ. მათი ადგილი ნამდვილმა პარიზელმა ქალებმა დაიკავეს, ისეთივე გმირობით, დიდსულოვნებით და თავგანწირულებით განთქმულბმა, როგორებიც ძველ დროში ანტიური ქვეყნის გმირი ქალები იყვნ. მშრომელი, მოაზროვნე, მებრძოლი, სისხლიდან დაცლილი, მაგრამ თავისი ისტორიული ინიციატივის ღრმა შეგნებით სახე გაბრწყინებული პარიზი თითქმის სულ ივიწყებდა კაცი-ჰამიებს, რომლებიც იმ დროს ქალაქის კარებზე იყვნ მომდგარი და იგი სულ ერთიანათ ახალი საზოგადოების შენების საქმეს ეძლეოდა.

კარლ მარქსი.





# პ ი რ ს ა ლ ი .

58

დიახ ვერსალი არის სატახტო—  
 წყარო გარყვნილებისა და ყოველგვარ უბედურების,  
 ამ ქალაქს უჭირავს მაღლა თავისი ჩირაღდანი.  
 იმას დარაჯობს სატორი.  
 ბანდიტები ყვირიან:—„რა მშვენიერია ვერსალი“!  
 ვერსალი არის ბებერი კახპა.  
 მის მხრებზე პლაშჩის მაგიერ—სუდარაა,  
 დახეულ ტანთსაცმელის ქვეშ  
 ის მაღავს ბავშს—რესპუბლიკას.  
 საწყალი ბავში! ის დაფარულია დანაშაულებათა კეთრო-  
 ვანებით;

ბებერი კახპა მაღავს თავის ძონძების ქვეშ  
 ბავშს—რესპუბლიკას და არცხვენს მის დიად სახელს.  
 თავის ძლიერებისთვის ვერსალი ამაგრებს კედლებს,  
 ამრავლებს ჯარისკაცებს და მეძავეებს.  
 მის გვერდით სამარცხვინო ჩაგვრის ქვეშ  
 სასაფლაოს ძილით განისვენებს პარიზი—  
 პარიზი—მთელი მსოფლიოს გული და მაჯის ცემა!  
 მაგრამ ამაოა თქვენი ცდა: გმირების ერი  
 ასახელებს კიდევ ერთხელ რესპუბლიკას.  
 ვის შეუძლია შეაჩეროს ცხოვრების დენა?  
 დადგა დრო, როდესაც გვირგვინები სცვივიან თავებიდან,  
 ისე როგორც შემოდგომაზე  
 ფოთლები სცვივიან დაღონებულ ხეებიდან.



ლუიზა მიშელ.

ვერსალის სატუსალო, ოქტომბერი 1871 წ.

## ჩემს გავრუბელს „პირპინიაზე“

ვირგინია—ხომალდი, რომელსაც მიჰყავდა  
 გადასახლებული კომუნარები ახალ კალე-  
 დონიაში.

მე ვეუბნებოდი ლუიზა მიშელს:  
 ჩვენ დავტოვეთ წვიმებს და სიცხეებს  
 და ჩქარა ვიქნებით  
 „კეთილ იმედის“ კონცხთან.

მაგრამ მე ვერ ვამჩნევ, რომ ჩვენ დავტოვეთ საფრანგეთი-  
 მარილიან ზღვაში ჩვენ ვიგემეთ ზღვის ავადმყოფობა,  
 მაგრამ ნაკლებათ ვიტანჯებოდით ჩვენ უფრო ადრე?  
 და როდესაც ხომალდი ტორტმანებს, ჩემი გული იკუმშება:

მე მესმის სამშობლოს ხმა, რომელიც მეუბნება:  
 განა მე ყვავილებზე ვნეზივრობ? განა მეც არა ვარ წამებული?  
 ჩვენ მივდივართ პოლიუსის ახლოს,  
 აქ ჩვენი ხომალდი დაეჯახება ყინულებს—

ისინი მისცურავენ—დევნილი ტალღებით და ქარით.  
 ყინულებთან შეხვედრის დროს მომაგონდა ჩვენი ჯალათები:  
 განა ჩვენ არ ვიცით, რომ ეს ადამიანები  
 არიან უღმობელნი და ცივი, როგორც ეს ყინულები!

ზღვის ღორმა, რომელიც დღეს დავინახეთ ჩვენ,  
 შორიდან მომაგონა ტიერი  
 მისი მსუქანი ხელებით.  
 დაჭერილი აკულები კი ძალიან ჰგავან



ვერსალის „პატიებათა კომისიის“ ზოგიერთ წევრებს.  
 და იმ მხარეში, სადაც ჩვენ მივემგზავრებით,  
 ჩვენ დავინახავთ, რომ ძლიერი სჭამს უძლურს.  
 ყოველივე იქნება ისე, როგორც გვასწავლიან ჩვენი კანონები.  
 რა არის კანონი? ეს არის—„ვაი დამარცხებულებს!“  
 მე ამაში დარწმუნებული ვიყავი მაშინაც,  
 როცა არ ვაპირებდი ანტიპოდების ქვეყანაში წასვლას.  
 განა ჩვენ უნდა გვეშინოდეს კაცთა მჭამელების?  
 ვინ არ იცის, რომ ჯალათებს,  
 რომელთა ხელი შეიღება კომუნის სისხლით,  
 შეუძლიანთ მისცენ კაცთ მჭამელობის გაკვეთილი  
 თვითონ ველურებს—კანიბალებს?  
 მე ვიცი—არის პანტაგრიუელი,  
 რომელიც ხარბია და უფრო სასტიკი.  
 მაკ-მაგონ! შენ იქერ სადილისათვის  
 ბავშებს, ქალებს და მოხუცებს;  
 მაგრამ შენ იმათ აშიმშილებ,  
 სანამ სიამით გადაყლაპავდე.  
 ქარის ქვეშ ილუნება ანძა  
 და შეიძლება გადატყდეს კიდეც.  
 წყალს შეუძლია დალუპოს ჩვენი გემი.  
 მაგრამ განა ეს გახუნებული თავადები  
 არ კანკალებენ თავის მოოქროვილ ტახტებზე?  
 ჩვენ გვიძახიან გიჟებს და ფანტაზიორებს,  
 მაგრამ ჩვენ ვიცით ჩვენი გზა.  
 ისინი კი, შეხედე, როგორ შფოთავენ!  
 სანუგეშო სანახაობა!  
 ისინი მოიცვა სასოწარკვეთამ,  
 რადგანაც მათი კომპასი დაიმსხვრა...  
 ჩვენ შეგვიძლია დავიხრჩოთ ზღვაში,  
 მაგრამ, თუმცა მე ორაკული არა ვარ,  
 მე წინდაწინვე ვიცი, რომ ჩქარა, სულ ჩქარა  
 იმათ ეწევა იგივე ბედი.  
 ვინც მიდის დენის წინააღმდეგ,  
 ის უეჭველად დამარცხდება და დაიღუპება.

ანრი როშფორ.

ნოემბერი. 1871 წ. გემი „ვირჯინია“.




„ადამიანი, რომელიც იცინის“  
 ტიერი. საფრანგეთის მთავრობის თავ-  
 მჯდომარე, კომუნის ჯალათი.





გუსტავ კურბე. კომუნის წევრი. რეალურ შკოლის მეთაური მხატვრობაში. კომუნის ლიკვიდაციის შემდეგ ამტყუნებდენ, რომ დეკრეტი ვანდომის კოლონის დანგრევის შესახებ მისი ინიციატივით იყო გამოცემული.



ელიზე რეკლიუ. ცნობილი გეოგრაფი და ანარქიზმის თეორეტიკოსი. ნაციონალური გვარდიის ჯარისკაცი. მიუსაჯეს გადასახლება.

## პარიზის კომუნა.

(ისტორიის ფურცელი)

1871 წელს, პრუსიასთან დროებითი ზავის ჩამოგდებას შემდეგ, პარიზში იჭეჭა მეტად სისხლ მღვრელმა რევოლიუციამ, თუმცა იგი გრძელდებოდა მხოლოდ 72 დღეს (18 მარტიდან 22 მაისამდე).

1860-იან წლებში მეორე იმპერიის წინააღმდეგ თავი წამოყო ბურჟუაზიულმა ოპოზიციამ, რის გამო გაფართოებულ იქმნა მუშების „თავისუფლება“, მათი იმპერიალიზმის მხარეზე გადაბირების მიზნით. გაჩნდნენ მუშათა კავშირები, რომელნიც უმეტესათ მიზნად ისახავდნენ მუშათა ეკონომიურ ინტერესების გაუმჯობესებას, ხელფასის აწევას, სამუშაო დღის შემცირებას და სხვ. ამასთან ერთად საფრანგეთში დაარსდა „მუშათა საერთაშორისო ასოციაცია“, რომლის მეთაურები სავსებით იზიარებდნენ პრუდონის პროგრამას: **მშვიდობიან** სოციალურ რევოლიუციის მოხდენას უფასო საურთიერთო კრედიტის საშუალებით („მიუტიუალიზმი“), ყოველგვარ რენტის მოსპობას და საწარმოო იარაღების მუშათა ხელში გადაცემას. მაგრამ ამ აშკარად მომქმედ ასოციაციის დაარსებასთან ერთად იწყო მოქმედება ფარულად მომუშავე „ბლანკისტთა“ (თავის მეთაურის ბლანკის სახელით) რევოლიუციონურმა ფრაქციამ, რომელიც ქადაგებდა კომუნიზმს და ატარებდა აშკარა ამბოხების პოლიტიკას. 1868 წელს ასოციაციის ბიურო დაიხურა და მუშათა მასები მემარცხენითა გავლენის ქვეშ მოექცნენ (ვარლენის და სხვა). 1860-იან წლების დამლევს ბურჟუაზიის დაბალ ფენებში დიდი გასავალი მოიპოვა რევოლიუციონურმა რადიკალიზმმა,

რომელიც რობესპიერის იდეალებზე ოცნებობდა; გარკვეული პროგრამა მას არა ჰქონდა და ისეთი პრინციპები, როგორცაა „სამუდამო ჭეშმარიტება“ და „სამუდამო ძმობა“ თვითეულ ორატორს თავისებურად ესმოდა.

ბოლოს ყველასთვის საზიზღარი იმპერია დაეცა და პარიზის მოსახლეობამ შექმნა „სახალხო თავდაცვის მთავრობა“. და აი ეხლა სულ უფრო და უფრო გაბედულად გაისმოდა ხმები კომუნის დაარსების შესახებ, რომლისგან საფრანგეთის შველას ელოდნენ. იხსენებდნენ პირველი რევოლიუციის (1789 წ.) ტრადიციებს, როდესაც პარიზის კომუნის ხელმძღვანელობით სწარმოებდა ძლევამოსილი ბრძოლა ევროპის კოალიციის წინააღმდეგ. კომუნის შექმნის იდეამ დიდი თანაგრძნობა მოიპოვა რევოლიუციონერ-კომუნისტთა შორის, რომელთა მეთაური ბლანკი მაშინ პირადათ ეწვია პარიზს.

საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს შექმნილი იყო პარიზის **ნაციონალური გვარდია**: შეიარაღებული იყო ყველა მოქალაქე, ვინც ამის სურვილს განაცხადებდა, თავისივე სურვილით არჩეულ ოფიცრებისადმი დამორჩილებით. მალე გვარდიის რიცხვი 300 ათას კაცამდე ავიდა. პარიზის პრუსიელთა გარემოცვის გამო უმუშევარ გვარდიელებს ჯამაგირიც ეძლეოდათ. პარიზში კრიზისი თავის მწვერვალს ეწვოდა. პარიზს მეტი გაძლება აღარ შეეძლო. ბისმარკმა მოითხოვა პარიზის მთელი ჯარის განიარაღება. მთავრობის თავმჯდომარე ჟიულ ფავრმა გამოაცხადა, რომ შეიარაღებულ შეტაკების გარეშე მას არ ძალუძს ნაცი-





ვერსალის ციხეში. აჯანყებული ქალები

ონალურ გვარდიის განიარაღება. ბოლოს დროებით ზავის ერთ-ერთ მუხლში შეტანილ იქნა შესწორება, რომლის ძალით გვარდიას განიარაღება არ ეხებოდა. 8 თებერვალს 1871 წელს მოხდა ნაციონალურ ყრილობის არჩევნები. პარიზმა ხმის უმეტესობით გაიყვანა რადიკალურ დემოკრატიის წარმომადგენლები—ვიქტორ ჰიუგო, ლედრიუ-როლენ და სხვ. პროვინციამ კი აირჩია უმეტესად მონარქიის აღდგენის მომხრენი. მთავრობის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა **ტიერი**. ერთ-ერთი მისი პირველი დეკრეტი მიმართული იყო ნაციონალურ გვარდიის წინააღმდეგ: ჯამაგირის მიღების უფლება ეძლეოდა მხოლოდ იმ გვარდიელთ, ვინც დაამტკიცებდა თავის სიღარიბეს და მუშაობის უქონლობას. 100 ათასმა გვარდიელმა, შეძლებულ კლასების შვილებმა და თან პოლიტიკურადაც ზომიერად განწყობილმა, დასტოვა გვარდიის რიგები და პარიზიც, რის გამო დიდათ საგრძნობი უპირატესობა დარჩათ რადიკალურ ელემენტებს. გვარდიის ორგანიზაციას სათავეში უდგა ცენტრალური კომიტეტი. უკანასკნელის შემადგენლობაში მუშათა საერთაშორისო ასოციაციიდან შედიოდა **ვარლენი**.

ნაციონალურმა ყრილობამ, რომელიც შეიკრიბა ბორდოში, მიიღო ორი დეკრეტი, პარიზისთვის გულში დანის დაკვრის მზგავსი. პირველი დეკრეტი მთავრობის და ყრილობის სამყოფ ადგილად აცხადებდა ვერსალს. მეორე დეკრეტის ძალით კი—ყველა ვექსილები განადგებულნი უნდა ყოფილიყო ორი დღის განმავლობაში. ამ ზომებმა გაახელა პარიზის ისედაც ამოძრავებული მოსახლეობა.

ტიერი მოვიდა პარიზს და ბრძანა გვარდიისათვის მონმარტრის მალლობზე დაგროვილ ზარბაზნების ჩამორთმევა. ტიერის ჯარი ხერხიანად მიუდგა მონმარტრს და

18 მარტს დილით კიდევ აიღო იგი, მაგრამ ზარბაზნების წასაღებად ჯარს არ აღმოაჩნდა ცხენები და სანამ ამათ მოიყვანდნენ ჯარისკაცები დაუძმობილდნენ გვარდიელებს და დაატუსაღეს თავისი უმაღლესი სარდლობა. დახვრეტულ იქმნენ გენერლები ლეკონტი და ტომა. ამ მკვლელობებში არავითარი წილი არ ედო არც ცენტრალურ კომიტეტს და არც გვარდიას, მაგრამ ტიერმა მაინც სასწრაფოთ დასტოვა პარიზი, უბრძანა გენ. ვინუას მთავრობის ერთგულ ჯარისათვის თავი მოეყარა ვერსალში.

ამ გვარად პარიზის ფაქტიური მბრძანებლობა ცენტრალურ კომიტეტის ხელში დარჩა—და დანარჩენ საფრანგეთს მოწყვეტილმა პარიზმა **კომუნის დროშა** ააფრიალა. შესდგა პარიზის კომუნის საბჭო, რომელშიც შედიოდნენ შემდეგ მიმართულებათა წარმომადგენლები: მუშათა საერთაშორისო ასოციაციის, რევოლიუციონერი—იაკობინელები, სოციალისტები სხვა და სხვა ფრაქციების, უკანასკნელთა შორის უმეტესობა ბლანკისტები იყო (თითონ ბლანკი ჯერ კიდევ 17 მარტს დაატყვევეს პროვინციაში). საბჭოს დაარსების შემდეგ, დროებითი მთავრობის უფლებებით მომქმედი ცენტრალური კომიტეტი უნდა გაუქმებულიყო, მაგრამ უკანასკნელმა არ ისურვა ძალა-უფლებაზე ხელის აღება. საბჭოში რევოლიუციის ვეტერანებს ეკუთვნოდნენ **დელაკლიუზი** და **ფელქს პია**. პირველ მათგანს, დელაკლიუზს, დაღვრემილ და ცივ იაკობინელს, წინეთ შეეძლო კიდევ კომუნის მეთაურობა, მაგრამ ეხლას ათას ჭირ-ვარამში გამოვლილი, ნანგრევებს და წარმოადგენდა. პია, ნიჭიერი პუბლიცისტი, წმინდა წყლის თეორეტიკოსი იყო, წინააღმდეგობათა ქსელში გაბმული და უსაზღვრო პატივმოყვარეობით აღჭურვილი—სრულიად არ შეეფერებოდა იმ დიდ როლს, რომელიც მას წილად ხვდა.





გენერალი გალიფე. კომუნის ჯალათი.

ყველაზე უკეთ ესმოდათ სოციალური საკითხი ვარლენს ვალიანს, მალონს და ფრანკელს, ყველაზე უფრო სერიოზულ ელემენტს საბჭოში. ამათი მოქმედება მეტად მიზანშეწონილი იყო. ამათ წრიდან გამოვიდა კომუნის ყველაზე უფრო საქმიანი ადმინისტრატორები. ყველაზე უფრო მემარცხენე სოციალისტური და რევოლუციონური საბჭოს ფრაქცია ბლანკისტები იყო. ესენი წარმოადგენდნენ იმ ელემენტს, რომელიც არ იხევედა არავითარ ძალადობის წინაშე, ყველაზე გამოჩენილი ამ ჯგუფში იყო ედ. კომუნის საბჭოში შედიოდნენ აგრეთვე პარიზის რევოლუციონურ-იაკობინურ კლუბის ორატორები. ამათ რიცხვში შედიოდნენ ნიჭიერი, მაგრამ უნიადაგო მგოცნებენი, მხატვარი კურბე, ვერმორელი, ფლურანსი, ვალლესი, (უკანასკნელი საბულგარო პრესის ჰკუა მახვილი ქრონიკერი). მიმართულებათა ასეთი სხვადასხვაობის გამო საბჭოს მოღვაწეობის სისტემა წინააღმდეგობით აღსავსე იყო. კომუნის საბჭო წარმოადგენდა ერთ და იმავე დროს საკანონმდებლო კორპუსს და უმაღლეს ხელისუფლების ორგანოს. გამგეობის ცალკე დარგების გასაძლიერებლად გამოყოფილ იქმნა კომისიები, რომელთა სათავეში იდგნენ უმეტესად მუშათა საერთაშორისო ასოციაციის წევრები, როგორც მაგ. მალონი, ავრიალ, ეერარდენი და სხვ. ჯამაგირი, რომელიც დაენიშნათ კომუნის წევრებს, არ უნდა

აღმატებოდა ნათას ფრანკს, მაგრამ ნამდვილად ის გაცილებით ნაკლები იყო. საერთოდ, რაც შეეხება საქმის ფინანსიურ მხარეს, კომუნის მთავრობამ დიდი პატიოსნება გამოიჩინა. სოციალურ რეფორმათა სფეროში კომუნის ხელისუფლებამ ვერ გაატარა გარკვეული პროგრამა, რადგან ამას ხელს უშლიდა მასში მყოფი არსებითად სხვა და სხვა მიმდინარეობა: კომუნიზმი (ბლანკისტები), პრუდონიზმი და იაკობინიზმი. ერთად ერთი აქტი, რომელშიაც თითქოს მოცემულია კომუნის საერთო პროგრამა ესაა 19 აპრილის „დეკლარაცია საფრანგეთის ხალხისადმი“ (ეგრედ წოდებული კომუნის ანდერძი), რომელიც წარმოადგენს პრუდონის შეხედულებათა გამოძახილს. კომუნის ცალკე სოციალურ-პოლიტიკურ ზომებისაგან შეიძლება აღვნიშნოთ: შრომის ხელფასიდან გამოკლების აკრძალვა, ღამით მუშაობის აკრძალვა, შრომის ხელფასის მინიმუმის დაწესება, მუშათა არტელებისათვის პირველობის მიცემა კერძო მწარმოებლებთან წინაშე, მწარმოებელ ასოციაციებისათვის გადაცემა პატრონთა მიერ დატოვებულ სამრეწველო დაწესებულებათა, უკანონო შვილებისათვის კანონიერ უფლებათა ძითვისება, ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან სამღვდლოებისათვის სახელმწიფო სალაროდან ხარჯების მიცემის მოსპობით, ცდა რესპუბლიკანურ კალენდრის შემოღებისა და წითელი დროშის აღიარება სახელმწიფო დროშათ.

ზოგიერთი, როგორც მაგ., ფინანსთა კომისია, საკვირველ საქმიანობას იჩენდა იმ საშინელ გარემოების დროს. მის სათავეში იდგა ყოფილი ბუჰგალტერი ჟურდი; მაშინ, როდესაც ის მილიონებს ატრიალებდა, თითონ უბრალო კონტორის მოხელეს ჯამაგირი ჰქონდა, მისი ცოლი მრეცხავად იყო და შვილი ღარიბების შკოლაში დადიოდა.

ტიერის ვერსალში დაბანაკების შემდეგ აუცილებელი შეიქნა სამოქალაქო ომი. 2 აპრილს მოხდა პირველი შეტაკება ვერსალელებსა და გვარდიას შორის. ვერსალელებმა დახვრიტეს მათ ხელში ტყვეთ ჩავარდნილი კომუნარები. საჭირო შეიქნა გვარდიის ახალი ძალებით შევსება. ელოდნენ პროვინ. დახმარებას, მაგრამ ადგილობრივი კომუნალისტური ამბოხებები დამარცხებით გათავდა და ამის შემდეგ დედა-ქალაქის დაცემა აუცილებელი იყო. მის ბჭეებთან იდგა 130 ათასიანი ჯარი მაკ-მაგონის მეთაურობით. ვერსალელებმა ერთი მეორეზე აიღეს პარიზის ფორტები და 21 მაისს ისინი შევიდნენ პარიზში. მაგრამ აქ მათ უნდა აეღოთ ბარიკადებით და არტილერიით გამაგრებული პარიზის ქუჩები. დაიწყო 8 დღის ხელჩართული, ორივე მხრიდან შეუბრალებელი ბრძოლა. ბრძოლის დროს დაიწვა და დაიქცა ქუჩების და საზოგადოებრივ დაწესებულებათა მთელი რიგი. 28 მაისს ბრძოლა დასრულდა: მთელი პარიზი ვერსალელების ხელში იყო. ამუშავდნენ სამხედრო სასამართლოები, რომელთაც კატორღაში გაგზავნეს 7500 კაცი და 21 კაცი დახვრიტეს. გაუსამართლებლად დახვრიტილთა რიცხვი ზოგის აზრითამ სისხლიან კვირის განმავლობაში უდრის 15 ათასს, სხვების ანგარიშით კი ორჯერ მეტ რიცხვამდე ატანს.

კომუნის გამოჩენილ მოღვაწეთაგან ბრძოლაში დაიღუპნენ: ფლურანსი, ვერმორელი, დელაკლიუზ და დომბროვსკი. გაუსამართლებლად დახვრეტილ იქმნენ: ვარლენი, მილიერი, რიგო და სხვ.



## რ ა შ ი ა კ ო მ უ ნ ა რ ი ბ ი ს გ მ ი რ ო ბ ა

ჩვენ ვიცით, რომ 1870 წლის შემოდგომაზე, რამდენიმე თვით ადრე კომუნის წინ მარქსი აფრთხილებდა პარიზის მუშებს და უმტკიცებდა, რომ მთავრობის ჩამოგდების ცდა სასოწარკვეთილებით გამოწვეული სისულელე იქნება, მაგრამ როდესაც 1871 წლის მარტში მუშებს თავს მოახვიეს გადამჭრელი ბრძოლა და იმათაც მიიღეს იგი, როცა აჯანყება ფაქტი გახდა, მარქსი უდიდესი ალტაცებით მიესალმა პროლეტარულ რევოლიუციას, მიუხედავად იმისა, რომ მას ცუდი ნიშნები დაეყვა. მარქსს პედანტიური ჯიუტობით არ გაუკიცხავს „უდროვო“ მოძრაობა, როგორც ეს ჩაიდინა მისდა სამარცხვინოთ ცნობილმა მარქსიზმის რუსმა რენეგატმა პლენხანოვმა, რომელიც 1905 წლ. ნოემბერში აქეზებდა მუშებს და გლეხებს ბრძოლისთვის, 1905 წლის დეკემბრის შემდეგ კი ლიბერალურათ გაკიოდა: „არ უნდა აგელოთ იარაღი“.

მარქსი არა მარტო ალტაცებული იყო კომუნარების გამირობით, რომლებიც, მისივე სიტყვით „ზეცას ანგრევდნენ“. მასიურ რევოლიუციონურ მოძრაობაში, თუმცა იგი მიზანს ვერ აღწევდა, ის ხედავდა უდიდესი მნიშვნელობის ისტორიულ გამოცდილებას, მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციის წინ გადადგმულ ნაბიჯს, პრაქტიკულ ნაბიჯს, რომელსაც მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ასობით პროგრამებს. ამ გამოცდილების ანალიზის გაკეთება, მისგან ტაქტიკის გაკვეთილების გამოყვანა, მის საფუძველზე თავისი თეორიის გადაშინჯვა აი რა მიზანი დაიხსნა მარქსმა.

ერთათ ერთი „შესწორება“ „კომუნისტური მანიფესტისა“, რომელიც მარქსმა აუცილებლათ მიიჩნია, მან გააკეთა პარიზის კომუნარების რევოლიუციონური გამოცდილების საფუძველზე.

„კომუნისტური მანიფესტის“ ახალი გერმანული გამოცემის უკანასკნელი წინასიტყვაობა, რომელიც ორივე ავტორის მიერ არის ხელმოწერილი, აღნიშნულია 1872 წლ. 24 ივნისის რიცხვით. ამ წინასიტყვაობაში ავტორები, კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი ამბობენ, რომ „კომუნისტური მანიფესტის“ პროგრამის „ზოგიერთი ადგილები დაძველდა“.

„...მეტადრე — განაგრძობენ ისინი — კომუნამ დაამტკიცა, რომ „მუშათა კლასს არ შეუძლია უბრალოთ აილოს ხელთ მზა-მზარეული სახელმწიფო მანქანა და სამუშაოს ის თავისი საკუთარი მიზნებისათვის“.

ეს სიტყვები ამოღებულია ავტორების მიერ მარქსის თხზულებიდან: „სამოქალაქო ომი საფრანგეთში“.

მაშასადამე ძირითადი და უმთავრესი გაკვეთილი პარიზის კომუნისა მარქსმა და ენგელსმა იმდენათ დიდ მნიშვნელოვანათ მიიჩნიეს, რომ ის მათ „კომუნისტურ მანიფესტში“ შეიტანეს, როგორც არსებითი შესწორება.

მეტათ დამახასიათებელია, რომ სწორეთ ეს შესწორება დაამახინჯეს ოპორტუნისტებმა და საეჭვოა, რომ მისი აზრიც გაეგებოდეს ათიდან ცხრას ან ასიდან ოთხმოცდაცხრამეტს, ვისაც „კომუნისტური მანიფესტი“ წაუკითხავს. დაწვრილებით ამ დამახინჯებაზე ქვევით მოვილაპარაკებთ. ახლა კი საკმარისია აღვნიშნოთ, რომ გავრცელებული, ვულგარული წარმოდგენით, მარქსის ზემოთ მოყვანილი შესანიშნავი დებულების აზრი იმაში მდგომარეობს, რომ მარქსი აქ ვითომ ხაზს უსვამს ნელი

განვითარების იდეას წინააღმდეგ ძალა-უფლების დაპყრობისა და სხვა ამგვარები.

ნამდვილათ კი სწორეთ ამის წინააღმდეგს აქვს ადგილი. მარქსის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ მუშათა კლასმა უნდა დაანგრეოს, გაანადგუროს „მზა-მზარეული სახელმწიფო მანქანა“ და არ დასჯერდეს მის უბრალო დაპყრობას.

1871 წლის 12 აპრილს, ე. ი. სწორეთ კომუნის დროს მარქსი სწერდა კუგელმანს:

„თუ დააკვირდები ჩემი „18 ბრიუმერის“ უკანასკნელ თავს, დაინახავ, რომ საფრანგეთის რევოლიუციის შემდეგ ცდათ მე ვაღიარე: არა გადაცემა ერთი ხელიდან მეორე ხელში ბიუროკრატიულ-სამხედრო მანქანისა, როგორც აქამდე ხდებოდა, არამედ მისი დანგრევა და სწორეთ ასეთია წინასწარი პირობა ნამდვილი ხალხური რევოლიუციისა კონტინენტზე. სწორეთ ამაში მდგომარეობს ცდა ჩვენი გმირი პარიზის ამხანაგებისა“.

ამ სიტყვებში „ბიუროკრატიულ სამხედრო სახელმწიფო მანქანის დანგრევის“ გამო მოკლეთ გამოთქმულია უმთავრესი გაკვეთილი მარქსიზმის იმ კითხვის შესახებ, თუ რა მიზანი აქვს პროლეტარიატს რევოლიუციაში სახელმწიფოს მიმართ და სწორეთ ეს გაკვეთილი მარქსიზმის გაბატონებულმა, კაუტსკიანურმა „განმარტებამ“ არა მარტო სავსებით დაივიწყა, არამედ პირდაპირ დაამახინჯა.


რაც შეეხება „18 ბრიუმერის“ ადგილს, რომელზედაც მარქსი მიუთითებს, ის ჩვენ ზემოთ მთლიანათ მოვიყვანეთ.

საინტერესოა აღვნიშნოთ ორი ადგილი მარქსის მოყვანილი ამონაწერიდან. ჯერ ერთი. მას თავისი დასკვნის დროს სახეში აქვს მარტო კონტინენტი (ხმელეთი). ეს მისახვედრი იყო 1871 წელს, როდესაც ინგლისი წარმოადგენდა სამაგალითო, წმინდა კაპიტალისტურ ქვეყანას, მაგრამ მოკლებული იყო სამხედრო ელემენტს და რამოდენიმეთ ბიუროკრატიასაც. ამიტომ მარქსი განზე სტოვებდა ინგლისს, სადაც რევოლიუცია კი შესაძლებელი იყო ისეთ პირობებში, რომ წინასწარ არ დანგრეულიყო „მზა-მზარეული სახელმწიფო მანქანა“.

ახლა, 1917 წელს, პირველი დიდი იმპერიალისტური ომის ხანაში, მარქსის მიერ მისივე დებულების შეზღუდვა ძალას კარგავს; ინგლისიც და ამერიკაც, ეს უდიდესი და უკანასკნელი წარმომადგენელი ანგლო-საქსონური „თავისუფლებისა“ იმ მხრით, რომ იქ არ არსებობდა სამხედრო წყობილება და ბიუროკრატიაში, ახლა სავსებით ჩაიძირენ საერთო ევროპიულ იმ ბიუროკრატიულ-სამხედრო დაწესებულებათა ბინძურ, სისხლიან ჭაობში, რომლებიც ყველაფერს ახშობენ. ახლა ინგლისშიაც და ამერიკაშიაც „ნამდვილი ხალხური რევოლიუციის წინასწარი პირობა“ დამტვრევა, დანგრევა „მზა-მზარეული“ (1914—1917 წლებში „ევროპიულ“ საერთო-იმპერიალისტურ სიმაღლემდე მომზადებული) „სახელმწიფო მანქანისა“.

ახლა მეორე. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მარქსის მეტათ ღრმა-აზროვანი შენიშვნა, რომ ბიუროკრატიულ სამხედრო მანქანის დანგრევა „წინასწარი პირობაა ყოველი ნამდვილი ხალხური რევოლიუციისა“.





დამბობა ვანდომის კოლონის როგორც ძეგლის „უხეშ ძალის, „ყალბ დიდებისა და მილიტარიზმისა. კომუნამ დაადგინა ვანდომის მოედანს დაერქვას ინტერნაციონალური მოედანი.

თითქოს გაუგებარია მარქსის მხრით სიტყვა „ხალხური“ რევოლიუციის ხმარება; რუსი პლექანოველები და მენშევიკები, ეს სტრუვეს მიმდევრები, რომლებსაც მარქსისტებათ მოაქვთ თავი, არც კი დაიზარებენ გააცხადონ, რომ მარქსს ეს სიტყვა „წამოსცდა“. მათ ისეთ ლატაკ ლიბერალურ დამახინჯებამდე ჩამოაქვეითეს მარქსიზმი, რომ მათთვის არაფერი არ არსებობს გარდა ბურჟუაზიული და პროლეტარული რევოლიუციის დაპირდაპირებისა და ეს დაპირდაპირებაც მათ ისე აქვთ წარმოდგენილი, რომ მასში ყოველივე სიცოცხლის ნიშანწყალი მოსპობილია.

მაგალითისათვის რომ მეოცე საუკუნის რევოლიუციები ავიღოთ, რასაკვირველია ბურჟუაზიულ რევოლიუციას უნდა ჩავთვალოთ როგორც პორტუგალიის, ისე ოსმალეთის რევოლიუციები. მაგრამ „ხალხური“ არც ერთი მათგანი არ არის, რადგანაც ხალხის მასსა, მისი დიდძალი უმრავლესობა არც ერთ და არც მეორე რევოლიუციაში არ გამოდს შესამჩნევად, აქტიურად, დამოუკიდებლად, საკუთარი ეკონომიური და პოლიტიკური მოთხოვნილებებით. პირიქით 1905—7 წლ. რუსეთის ბურჟუაზიული რევოლიუცია, თუმცა მას არ მიუღწევია ისეთ „ბრწყინვალე“ შედეგებისათვის, რომლებიც დროებით წილათ ხვდა პორტუგალიის და ოსმალეთის რევოლიუციებს, მაინც ექვს გარეშეა, „ნამდვილი ხალხური“ რევოლიუცია იყო, ვინაიდან ხალხის მასა, მისი უმრავლესობა, საზოგადოების უფრო ღრმა „ძირები“, ჩაგვრაცვლევით გასრესილნი, დამოუკიდებლად სდგებოდნენ ფეხზე და მთელი რევოლიუციის მსვლელობას დაამჩნიეს ბეჭედი თავის მოთხოვნილებათა, თავის ცდათა, რომ თავისუფლად მოეწყოთ ახალი საზოგადოება ნაცვლათ ძველსა, რომელიც ინგროდა.

1871 წ. ევროპაში ხმელეთზე პროლეტარიატი არც ერთ ქვეყანაში არ შეადგენდა ხალხის უმრავლესობას. „ხალხური“ რევოლიუცია, რომელიც მოძრაობაში ითრევს ნამდვილ უმრავლესობას, ის რევოლიუცია იქნებოდა, რომელიც გავრცელდებოდა პროლეტარიატზე და გლეხკაცობაზე. სწორედ ეს ორი კლასი შეადგენდა მაშინ „ხალხს“, ორივე ეს კლასი გაერთიანებულია მით, რომ „ბურჟუაზიული—სამხედრო სახელმწიფო მანქანა“ სჩაგრავს, სტანჯავს და ყვლეფავს მათ. ამ მანქანის დამტვრევა, მისი დანგრევა წარმოადგენს „ხალხის“ ნამდვილ ინტერესს, ეს „წინასწარი პირობაა“ უღარიბეს გლეხების თავისუფალი კავშირისა პროლეტარებთან, უამკავშიროთ კი მტკიცე არ არის დემოკრატია და უიმისოთ შეუძლებელია სოციალისტური გარდაქმნა.

ცნობილია, რომ სწორედ ასეთი კავშირისკენ გზას იკაფავდა პარიზის კომუნა, რომელმაც ვერ მიაღწია მიზანს მთელ რიგ შინაურ და საგარეო ხასიათის მიზეზების წყალობით.

მაშასადამე, როდესაც მარქსი ლაპარაკობს „ნამდვილ ხალხურ რევოლიუციაზე“, მას სრულიად არ ავიწყდება წვრილი ბურჟუაზიის თავისუფლება (ამაზე ის მრავალჯერ უთითებს) და მკაცრად იკვლევს კლასთა ფაქტიურ ურთიერთობას ევროპის ხმელეთის სახელმწიფოებში 1871 წელს. მეორე მხრით, ის ამტკიცებს, რომ სახელმწიფოს მანქანის „დამტვრევას“ მოითხოვს მუშების და გლეხების ინტერესები, ის მათ აერთებს და უყენებს წინ საერთო მიზანს მოშორებულ იქნას „პარაზიტი“ და შეცვლილ იქნას იგი რამე ახალით.

სახელდობრ რით?



# პარიზის კომუნა და მწერლობა.

## I.

პარიზის კომუნა არის ტრაგედია, რომელსაც არა ჰყავს თითქოს მთავარი გმირი, რადგანაც აქ თვით ხალხი, თვით პროლეტარიატი თამაშობს მთავარ როლს. ამ ტრაგედიის ყველაზე უფრო თვალსაჩინო გმირები იყვნენ, გარდა ინტელიგენტებისა, მუშები.

გენერალ ანვერმა წარუდგინა სამხედრო სასამართლოს დაღუპულ მსხვერპლთა შემდეგი სია: ზეინკლები—2,664, კალატოზები—2,293, დურგლები—1,659, ნოქრები—1,598, მეწაღენი—1,491, დაბალი მოსამსახურენი—1,065, მღებავები—863, სტამბის მომუშავენი—819, ქვის გამთლელნი—766, მკერავები—681, და კიდევ ბევრი, —სულ ასეთი პროფესიები.

მაგრამ კიდევ უფრო ნათელ სურათს იძლევა 1871 წლის შრომის სტატისტიკა.

შედარებით წლის დასაწყისთან პარიზს შემოდგომაზე აკლდა 12 ათასი მეწაღე, 6 ათასი ავეჯეულობის მკეთებელი, 5 ათასი მკერავი, 3 ათასი მესართულენი.

ორმოცდა ათი ათასი კაცი დაიღუპა თვითონ ბრძოლაში და ბრძოლის შემდეგ, სატუსაღოებში და კატორღებში.

სულ ას ოცდა ცამეტი ათასი მსხვერპლი.

ის გმირობა, რომელიც გამოიჩინა ბურჟუაზიასთან ბრძოლაში პარიზის კომუნამ, განუმეორებელი და დაუვიწყარია. ეს გმირობა ღირსია მარადი თაყვანისცემის და პოეზია დაკარგავდა თავის სახელს, თავის კეთილშობილებას, რომ მის ანნალებში არა ყოფილიყო აღნიშნული სისხლიან ასოებით პარიზის კომუნა და მისი ბრძოლა ჯალათებთან. პარიზის კომუნაზე ბევრი რომანები და ლექსები დაიწერა, მაგრამ ყველაზე უფრო საინტერესოა ის პოეტები, მწერლები და მხატვრები, რომელნიც თვითონ იყვნენ კომუნარები და თვითონ განიცადეს კომუნის გრანდიოზული ბრძოლა და აგონია. კომუნართა შორის იყვნენ პოეტები—ინტელიგენტები, როგორც მაგალითად კლემან და ჟუი, იყვნენ აგრეთვე მუშები, გაფანტულნი საფრანგეთის სხვადასხვა კუთხეებში. ყველა ისინი თითქმის დავიწყებულნი არიან, მაგრამ არ არის დავიწყებული ერთი სახელი, ერთი სიმღერა. ეს არის „ინტერნაციონალი“-ს ავტორი—ეჟენ პოტიე, რომელმაც გადალახა თავისი დრო და მოიპოვა უკვდავება. ის არის ავტორი იმ სიმღერის, რომელიც მარსელიეზასთან ერთად იქცა საერთაშორისო ჰიმნად და არ მოკვდება, სანამ იქნებიან დედამიწაზე მზავრელები, სანამ იქნება მჭიდრო კავშირი ყველა ქვეყნების პროლეტართა შორის. ის არის ავტორი იმ სიმღერის, რომელმაც რევოლუციურ პათოსთან შეაერთა ინტერნაციონალის საერთაშორისო მისწრაფებანი. ის არის ავტორი ის სიმღერის, რომლითაც თავდებოდა მუშათა მეორე საერთაშორისო გაერთიანების ყველა ყრილობები და რომელიც ყოველთვის გაისმოდა პროლეტარულ ბრძოლაში. ამ სიმღერის სათაურია—„ინტერნაციონალი“. ეს სიმღერა ისმის საფრანგეთში, იტალიაში, გერმანიაში, ისპანიაში, სკანდინავიაში და განსაკუთრებით კომუნისტურ რუსეთში, ეს სიმღერა მისი შესანიშნავი მუსიკით, რომელიც ეკუთვნის მუშას პიერ დაგეიტერს, ისმის როგორც ლოცვა და აპოთეოზი, როგორც სიმფონია

და გრიგალი მებრძოლ პროლეტარიატისა. ამ სიმღერაში მოცემულია გენიალური, მკაცრი ფორმულა და მთელი პროგრამა მოქმედებისა. მაგრამ ყოველი სიტყვა გამოჭედილია ჯადოქარის ხელით. უარყოფილია ღმერთი, ცეზარი და თვით ტრიბუნი. ხალხმა თვითონ უნდა გაანთავისუფლოს თავისი თავი. ვინც არაფერი არ იყო, ის უნდა გახდეს ყველაფერი. როდესაც არ იქნებიან ყორნები, ქორები და ქოფაქები მზე სამუდამოდ აელვარდება. ინტერნაციონალთან ერთად აღდგება მთელი კაცობრიობა.

ეს სიმღერა მარსელიეზაზე უფრო ძლიერია და უფრო თანამედროვეა. ის გადასცილდა საზღვრებს და ამიტომ მისი რეზონანსი დიდია. რუჟე დე ლილს ამოუდგა გვერდში მეორე ბედნიერი პოეტი—ეჟენ პოტიე, რომელიც ღირსია მარადი ხსოვნის და მარადი ძეგლის.

ლუიზა მიშელმა დასწერა მთელი წიგნი: „კომუნა“, რომელიც ანთებულია დიდი სიყვარულით კომუნარებისადმი. ამ წიგნში აწერილია აგრეთვე ცხოვრება კომუნარების ახალ კალედონიაში ველურთა შორის. ყოველი სტრიქონი ამ წიგნის არის აპოლოგია კომუნის. შეიძლება ითქვას რომ სიტყვა ვერსალი გადაიქცა საზიზღარ სიტყვად, ბურჟუაზიის და არისტოკრატის სამარცხვინო სიმბოლოდ.

ლუიზა მიშელ პროფესიით იყო მასწავლებელი, ის ასწავლიდა თავის დედასთან ერთად ლარიზ ბავშვებს. თავის უბანში იგი ცნობილი იყო, როგორც „წითელი ქალწული“. ცნობილია მისი სიტყვა, ნათქვამი სასამართლოში. მან დასტოვა მთელი წიგნი ლექსების, წიგნი ზოგონებების. სიკვდილამდე არ უღალატნია თავისი ახალგაზდობის იდეალებისათვის და კალედონიიდან დაბრუნების შემდეგ ებრძოდა მთავრობას დი ხშირად იჯდა ციხეში.

თავის წიგნ „კომუნა“-ში ის ამბობს: „ნეტავი ჩვენ ყველანი დავღუპულიყავით ხანძარის ცეცხლში. რამდენად უფრო დიდებული იქნებოდა ეს სასიკვდილო კოცონი, მაგრამ გამარჯვებულმა ვერსალმა გადააქცია პარიზი დიდ სახორცეთ, დიდ სასაკლაოთ. ლუიზა მიშელ კალედონიაში ასწავლიდა ველურებს, ეხმარებოდა მათ აჯანყებას და დიდი სიყვარული მოიპოვა მათ შორის. 1880 წ. გამოცხადდა ამნისტია. ველურები სტიროდნენ, როდესაც ლუიზა მიშელ ეთხოვებოდა მათ. ლუიზა მიშელ სრულიად შემთხვევით გადაურჩა თავის დროზე დახვრეტას. მან საზიზღარ სიტყვათ გადააქცია სიტყვა ვერსალი. მთელი თავისი სიძულვილი ჯალათებისადმი, მან გამოსთქვა ლექსში: „ვერსალი“.

აი ლუიზა მიშელის აღწერაში უკანასკნელი ბრძოლა და აგონია პარიზის კომუნისა. „ფედერალისტები (კომუნარები) ჩაიკეტენ პერ-ლაშეზის სასაფლაოზე. ისინი მზად არიან იბრძოლონ უკანასკნელ პატრონამდე. გაბედულთა თავგანწირული ჯგუფი იბრძვის სასაფლაოზე მთელი ჯარის წინააღმდეგ; ბრძოლა სწარმოებს საფლავეთა შორის, თხრილებში და აკლდამებში—ხმლებით, ხიშტებით, თოფებით. ვერსალელები უღმობელად ხოცავენ და ხვრეტენ კომუნარებს. დადუმდა კანონადა პერ-ლაშეზზე. ვინ იბრძვის კიდევ? მხოლოდ გმირები ერთი ბარიკადისა ფონტენ-ო-რუაზე. ზარბაზნებმა მოიტანეს იერიში ბარიკადაზე. თავგანწირული კომუნარები კიდევ ერთხელ სტენიან



62

ზარბაზნებს. ამ დროს გაჩნდება ახალგაზრდა ქალწული. ის მოვიდა ბარიკადიდან სენ-მორის ქუჩაზე და მზად არის ბრძოლისათვის. იმას თხოვენ დასტოვოს ეს საშინელი ადგილი, მაგრამ ის რჩება. რამოდენიმე წუთის შემდეგ ბარიკადა შემადრწუნებელი გრიალით ამოანთხევს თავის ყუმბარებს და დადუმდება. მას შემდეგ არავის უნახავს უკანასკნელი ბარიკადის ქალწული-გმირი და კომუნის უკანასკნელი წუთები. თითქოს ეს ქალწული იყო განხორციელება თვით კომუნის, რომელსაც რამოდენიმე ხნის შემდეგ პოეტმა კლემანმა უძღვნა თავისი სიმღერა „ალუბლებზე“

მე მუდამ მეყვარება ალუბლის ხანა,  
 ამ დროიდან დაცარიელდა ჩემი გული.  
 ბედის მოვლინება იყო სასტიკი.  
 მოურჩენელია ჩემი გულის იარა.  
 მე მუდამ მეყვარება ალუბლის ხანა  
 და მოგონება, რომელსაც ინახავს ჩემი გული

ალუბლის ხანა არის მაისი, როდესაც დაილუბა კომუნა.

კომუნის ნანგრევების ქვეშ იყო დამარხული კომუნარები ათასობით და მათი სახელი უცნობია ისტორიისთვის.

როშფორი იყო მეტად ნაჭიერი ჟურნალისტი და პოლიტიკური მოღვაწე. 1869 წ. იყო არჩეული დეპუტატად საკანონმდებლო კორპუსში, მაგრამ მთავრობამ დაატუსაღა იგი. იქნა განთავისუფლებული ხალხის მიერ 1870 წ. სექტემბრის რევოლუციის დროს. კომუნაში მონაწილეობისათვის დაატუსაღეს და გაგზავნეს ახალ კალედონიაში, საიდანაც გაიქცა და დაბინავდა ჟენევაში. 1895 წ. ანისტიის შემდეგ დაბრუნდა საფრანგეთში. კომუნის დროს იგი სწერდა თავის გაზეთში წერილებს ტიერის და ვერსალელების წინააღმდეგ, რისთვისაც იგი გადასახლებულ იქნა ახალ კალედონიაში. მისი კალმის ყველას ეშინოდა, რადგანაც ეს კალამი იყო ყოველთვის მიუდგომელი და ავი. პამფლეტების გარდა ის სწერდა ლექსებს. აი ნაწყვეტი მისი ლექსიდან: „ჩემს მეზობელს „ვირგინიაზე“. ვირგინია იყო გემი, რომელსაც მიყავდა გადასახლებული კომუნარები ახალ კალედონიაში.

„მარილიან ზღვაში ჩვენ ვიგემეთ ზღვის ავადმყოფობა.

„მაგრამ ნაკლებათ ვიტანჯებოდით ჩვენ უფრო ადრე?  
 „და როდესაც ხომალდი ტორტმანებს, ჩემი გული იკუმშება:

„მე მესმის სამშობლოს ხმა, რომელიც მეუბნება:  
 „განა მე ყვავილებზე ვნებივრობ? განა მე არა ვარ წამებული?

„ჩვენ მივდივართ პოლიუსის ახლოს,  
 „აქ ჩვენი ხომალდი დაეჯახება ყინულებს,—  
 „ისინი მისცურავენ—დეენილნი ტალღებით და ქარიით.

„ყინულებთან შეხვედრის დროს მომაგონდა ჩვენი ჯალათები:

„განა ჩვენ არ ვიცით, რომ ეს ადამიანები  
 „არიან უღმობელნი და ცივი, როგორც ეს ყინულები!

არტურ რემბო იყო ანარქისტი თავისი ცხოვრებით და შემოქმედებით. მუდამ დაუდგრომელი, მუდამ ბოგემა, 18 წლის რემბო აღტაცებით იბრძვის კომუნარებთან ერ-

თად და მათი დამარცხების შემდეგ, როგორც ახალი იუვენალი ამათრახებს და სდაღავს თავისი მრისხანე ლექსით ვერსალელებს. ამ ლექსში („ხელმეორედ დასახლებული პარიზი“) ისინი იერიქონის საყვირი.

„ტალახის გულნო! საძაგელო, შავო ტუჩებო!  
 „მყრალო ტუჩებო! ამოძრავდით მეტი ხალისით.  
 „დალიეთ ღვინო და წაბილწეთ ეს მაგიდები.  
 „გამარჯვებულნო! დადალულნო მარად სირცხვილით!  
 „ოი ქალაქო უბედურო და თითქმის მკვდარო!  
 „შენი მკერდები, შენი თავი სტყორცნე მომავალს.  
 „რა რიგ ძნელია შენი ნახვა ამ იარებით!  
 „თუმც არასოდეს არ ყოფილა ასე ტანჯული  
 „და აკუწული სხვა ქალაქი დედამიწაზე,  
 „პოეტი მაინც გეუბნება: ხარ მშვენიერი!  
 „გრიგალი გიძღვნის უმწვერვალესს შენ პოეზიას.  
 „ძალთა დაჭიმვა გადაგარჩენს დალუპვისაგან.  
 „მიალწვევ მიზანს—ვერ გაშინებს თვითონ სიკვდილი.  
 „შენ ყველა კენესა შეაგროვე საყვირის გულში!  
 „პოეტი აკრეფს უბედურთა ქვითინს და ცრემლებს,  
 „კატორღელების სიძულვილს და წყეულთა რისხვას,  
 „გაამათრახებს სამუდამოთ ყველა ჯალათებს  
 „და მისი ლექსი დაიყვირებს: შორს, ბანდიტებო!

ლექსი დაწერილია მძაფრი სახეებით. პოეტი არ ერიდება ვულგარულ გამოთქმებს, რომ დალურსმოს ბურჟუაზია—ეს დედოფალი მსუქანი და ურცხვი. ვერსალი გარყვნილებაში ჩაიღჩობა. პარიზი, როგორც ნანა, მოსწამლავს ბურჟუაზიას და მის შთამომავლობას. ვერსალი დაილუბება, როგორც ბებერი რომი, მაგრამ ის კიდევ ამბობს გედის სიმღერას.

პოლ ვერლენი—რემბოს მასწავლებელი პოეზიაში და მეგობარი იყო ჯარისკაცად კომუნის დროს და შემდეგ ემალებოდა ტიერის მთავრობას. მეგობრებმა ის ვერსაგზით ვერ გამოიყვანეს ოთახიდან აივანზე, რომ შეეხედა ცეცხლმოკიდებულ პარიზისათვის.

მოხუცებული ვერლენი იგონებდა კომუნას, როგორც ახალგაზდობის სიზმარს.

II

ქართული მწერლობა თავის დროზე გამოეპასუხა პარიზის კომუნას წერილებით, ლექსებით და მოთხრობებით. აღსანიშნავია ნიკო ნიკოლაძის წერილი. „ანტონ ფურცელაძემ თავის რომანში „ვაი მართალთა“ გამოიყვანა, როგორც მთავარი მომქმედი პირი მიხეილ ზაქარიაძე, რომელიც ქადაგებს 1789 წლის იდეებს. მიშოს ქადაგებას გამოეხმაურა მეორე გმირი მოთხრობისა ლიზა, რომელმაც მიშოსთან ერთად საფრანგეთში წასვლა განიზრახა, მაგრამ იგი ავად ხდება და კვდება კიდევ, მიშო მარტოდ მიდის საფრანგეთში, ეწერება დეჟუზეპე გარიბალდის რაზმში მოხალისეთ, იბრძვის საფრანგეთ-გერმანიის 1870 წლის ომში, იბრძვის გერმანიის წინააღმდეგ. ომის შემდეგ რჩება პარიზში და კომუნარებთან ერთად იბრძვის მთავრობის წინააღმდეგ დასამყარებლად კომუნისტურ წესწყობილებისა. მიშო ზაქარიაძე დელაკლიუზთან ერთად აღის ბარიკადზე; ამ დროს ბარიკადზე ამოდის წითელი ბაირალით მშვენიერი ქალი. ბაირალტარის ქალის სახე მიშოს აგონებს თავის სატრფოს ლიზასა; გული აუტოკდა, გაიწია ქალისაკენ მისაშველებლად; ამ დროს ბაირალტარი ქალი, ვერსალელთა ტყვიით განგმირული, კვდება



ბარიკადზე. მიშო იტაცებს მის ბაირალს, მიდის წინ ბრძოლით, კიჟინით, მაგრამ ისიც და დელაკლიუზიც ტყვიებით დაცხრილულნი, ბარიკადზე იხოცებიან.

ეს მოთხრობა დაწერილია 1870 წ. ჩვენებური მიშო ზაქარიაძე ტურგენევის რუდინივით კვდება ბარიკადზე“. (სოფრომ მეგლობლიშვილი: „ანტონ ნიკოლოზისძე ფურცელაძე“—ქართული სიტყვა — № 16).

თუმცა მიშო ზაქარიაძე გამოგონილ ტიპსა გავს, ჩვენ შეგვიძლია ერთი ისტორიული ფაქტით დავამტკიცოთ მისი რეალური შესაძლებლობა. ოფიციალურად ცნობილია პარიზის კომუნის ისტორიიდან, რომ ვენსენის ხრამში ცხრა კომუნარის რიცხვში დახვრეტილი იყო ვინმე ბაგრატიონი—ლეგიონის უფროსი.

ნიკო ნიკოლაძემ ნახა პარიზი კომუნის დამარცხების შემდეგ, და როგორც პილიგრიმმა თაყვანი სცა ყველა იმ ადგილებს, სადაც დაიღვარა კომუნარების წმინდა სისხლი მშრომელი კაცობრიობის განთავისუფლებისათვის.

ილია ჭავჭავაძემ გამოიტირა კომუნის დამარცხება მეტად შინაარსიან ლექსით.

- „კვლავ ეწამა მოყვასისთვის
- „საოცარი იგი ერი
- „კვლავ დაიდგა დიდ წამების
- „მან გვირგვინი მშვენიერი.
- „კვლავ შეფერხდა ისტორია.
- „განახლების შესდგენ ძალნი.
- „და კვლავ დღესასწაულობენ
- „გამარჯვებულნი მტარვალნი.

ილიამ იგრძნო კომუნის ტრაგედია, როგორც ჩაგრულ ერის შვილმა.

ილია ჭავჭავაძე ქართული პოეზიის სახელით პირველად მიესალმა პარიზის კომუნას.

ნარკანმა (კურდღელაშვილმა) უძღვნა მთელი პოემა პარიზის კომუნას. კარგია განსაკუთრებით ეს ოთხი სტრიქონი:

- „აფეთქდა ცეცხლით პარიზის გული.
- „ჭექით ღალადებს დიდი, პატარა.
- „და რესპუბლიკის ძლიერი სული
- „კომუნის დროშამ ჩამოატარა.

ვალ. გაფრინდაშვილის ლექსში: „კომუნარებს“ არის ორი საინტერესო სახე—შედარება კომუნის ლაოკოონთან და შემდეგ ოფელიასთან.

უეჭველია, რომ კიდევ ბევრი დაიწერება ლექსები პარიზის კომუნაზე. ახლა კი ჩვენ გავათავებთ ამ წერილს ისევ ლუიზა მიშელის სიტყვებით: „როდესაც ხალხი აბობოქრდება, როგორც ოკეანე, როდესაც ის მზად იქნება მოკვდეს თავისუფლებისათვის, მაშინ აღდგება კომუნა. ჩვენ მოვალთ ურიცხვ რაზმებით, ჩვენ შევიკრიბებით ყველა გზებზე, ჩვენ გავარღვევთ წყვილიადის რკალს, როგორც შურისძიების აჩრდილნი, და დავიწყებთ ბრძოლას.

ჩვენი ბაირალტარი იქნება სიკვდილი, შავი დროშა შეიღებება სისხლით, მიწა შეიმოსება წითელ ყვავილებით და თავისუფლად ამოისუნთქებს აელვარებულ ზეცის ქვეშ“.

ტრისტან მაჩაბელი.

### პარიზის კომუნა.

კრულ იყოს ქვეყნის უზურპატორი  
ზიზლი გალიფეს და მაკ—მაგონსა.  
შერცხვეს ტიერი—ბრმა დიქტატორი,  
ფურთხი მათ მომხრეს და მათ გამგონსა.  
ნაცადი შუღლი, მამაპაპური  
ბურჟუაზიამ კვლავ განიზრახა,  
და ძველი ჰანგი მუხანათური  
სედანის ველზე მან შემოსძახა.  
ბონაპარტობა და მისი ბედი  
ახლა ტიერმა მოიწადინა!  
ძრწოდეთ ვერაგნო! პარიზის ქედი

არ დაიხრება არავის წინა!  
ძირს პრუსიელთა გაბატონება,  
ძირს ვერსალი და მისი მონები!  
პარიზი სხვა დროს ვის აგონდება,  
ასე ადვილად დასამონები!  
აფეთქდა ცეცხლით პარიზის გული,  
ჭექით ღალადებს დიდი, პატარა.  
და რესპუბლიკის ძლიერი სული  
კომუნის დროშამ ჩამოატარა.

ნარკანი.

### პარიზის კომუნის გმირები.

პარიზის კომუნა ევროპულ მე-XIX საუკუნის უმაღლესი ბარიკადაა, რომლის სიმაღლიდან წარსულში მოსჩანს პირველი დიდი რევოლუციის მთა და აწმყოში—ჩრდილოეთის ოქტომბრის გრივალი.

ვერლენი და რემბო 1871 წელს უთუოდ იმ მუსიკამ აამბოხა, რომელიც 1917 წელს განუწყვეტლივ ეზმანებოდა ალექსანდრე ბლოკის შეუსაფარ სულს.

პარიზის ცა რისხვით შემოგრაგნა ამბოხებამ.

კიდევ ერთხელ გაიწირა კაცობრიობისათვის „საოცარი იგი ერი“.

როგორც ყოველთვის, პარიზის ხალხმა კაცობრიობის დროშა აღმართა.

მისი მოედნები კიდევ ერთხელ გადაიქცნენ კაცობრიობის კათედრალებად.

18 მარტის მონმარტრი—საფრანგეთის ხალხის და ყველა ხალხების მთაწმინდაა.

პარიზის კომუნის 72 დღე—კეთილშობილი და დიადი ანდერძია მაშვრალთა მსოფლიოსათვის.

კურბეს სიცოცხლის რომელი წუთებია უფრო მაღალ აღელვებით დაკოდლილი? „ჰამაკში ქალი“-ს შექმნის თუ ვანდომის კოლონის დაქცევის განზრახვა?

ელიზე რეკლიუს ფოლიანტებს და მის კეთილშობილ ტვინის ათეულ წლების ნელ ცეცხლის ტრიალს უდ-



რის მისი ათიოდე დღის ნაციონალურ გვარდიის ჯარისკაცობა.

საზიზღარი ტერსიტი—ვერსალი—ვერსაოდეს ვერ დასძლევს კეთილშობილ პატროკლესს—კომუნას.

საფრანგეთის ოცნება, მისი ჭკუა კომუნასთან იყო. რაგინდ მაღლა აწეულიყო ამბოხების სოციალური ჰათოსი, „მთვრალი ხომალდის“ გაქანებული კურსი მას ყოველთვის უსწრებდა.

საქართველოს ოცნება, მისი პოეზიის უკანასკნელი შეწირვა ყოველთვის იყო და არის პარიზის კომუნასთან.

ვერსალელთა ტყვიებმა პარიზში დაცხრილეს კომუნისათვის განწირული მხედარი ბაგრატიონი, ნაციონალურ გვარდიის გმირი.

იგი მოკვდა პარიზისათვის. მან გაამართლა სააკადის შეტევა და ხმალი. მან საქართველოს სისხლით შეღება მსოფლიო ქალაქის ფერისცვალების მთის კალთა.

„ქუდები ძირს, მე მინდა გიამბოთ კომუნის გმირებზეო“—ამბობს აღტაცებული მოწმე იმ დღეებისა.

როცა საფრანგეთის ბურჟუაზიის გასიებული იროდი—ტიერი 18 მარტს გაიქცა პარიზიდან, მარტის ღამეებში გაცოცხლდნენ 1789 წლის ანდერძები. რუსსოს სული თავზე დაჰფრენდა მონმარტრს და ლათინურ უბანს. თანამედროვე „სოციალურ კონტრაქტის“ საშინელება გაშიშვლდა. ყველა მშფოთარმა სულმა, ყველა მეოცნებემ იგრძნო გადამწყვეტ „ცდების“ მოახლოება.

ჭალარით მოსილმა დელაკლიუზმა მიატოვა დიალექტიკის ტურნირი. დიდი ბრძოლების გადამხდელი, ძალმილეული ტრიბუნი, თითქმის ნანგრევად ქცეული, მარმარილოდ იქცა, როდესაც აღმდგარ რობესპიერის პაროლი მოესმა. იგი შეუდრეკელად ავიდა შატო დ'ოს ბარრიკადზე და მისი მტკიცე, ჭალარა მოსილი სახე უკანასკნელად გაბრწყინდა ახალ გოლგოთის სიმალლეზე, საიდანაც მან უკანასკნელი სულის კენესა უანდერძა თავის დას.

„ძვირფასო დაო,—სწერს იგი დას მისთვის დატოვებულ წერილში,—მე არ მსურს და არც შემიძლია ძლევამოსილ რეაქციის მსხვერპლი და სათამაშო გავხდე. მაპატიე, რომ მე მივდივარ შენზე ადრე, შენზე, რომელმაც მთელი სიცოცხლე მე შემომწირე, მაგრამ მე არ შემიწყვეს სიმტკიცე, რომ ამდენ დამარცხების შემდეგ კიდევ ახალი დამარცხება გადავიტანო. სანამ მე უკანასკნელ დამწვიდებას ვპოვებდე, შენთვის შეწირული აზრი იქნება ჩემი უკანასკნელი მოგონება. კურთხევას გიგზავნი შენ, მხურვალედ საყვარელო დაო, მთელი ჩემო ოჯახო ჩვენი ძვირფასი დედის სიკვდილის შემდეგ. მშვიდობით, მშვიდობით! ვაკოცებ კიდევ ერთხელ. შენი ძმა, რომელსაც ეყვარები შენ უკანასკნელ სულის აღმოხდამდე“.

სამუდამოდ ამართლებს რევოლიუციას მეორე დიდი კომუნარი მილიერი, დამპალ მეორე იმპერიის მთავრობის თავმჯდომარის ჟიულ ფავრის სიყალბის მამხილებელი. 1871 წლის მაისის უკანასკნელ დღეებში, როცა პარიზის ამბოხება სისხლიდან იცლებოდა და უკანასკნელი ბარრიკადები და იდგნენ იმედის სვეტებად, დატყვევებული მილიერი წარუდგინეს ვერსალელთა ჯარის მთავარ შტაბის კაპიტან გარსენს.

ჯალათმა უთხრა: „მე ვიცნობ მხოლოდ თქვენს სახელს. მე წაკითხული მაქვს თქვენი წერილები, ისინი ჩემში აღშფოთებას იწვევენ. თქვენ გეზიზღებათ ეს წესწყობილება“. მილიერმა უპასუხა: „დიახ, მე მეზიზღება ეს

წესწყობილება“-ო.“ გენერალმა ბრძანა, რომ მილიერი დაეხვრიტათ პანთეონის წინ მუხლმოდრეკილი, თითქოს იგი შენანიებას სთხოვდა საზოგადოებას იმ ბოროტებისათვის, რომელიც მან ჩაიდინა. მან მუხლი არ მოიყარა სანამ ორმა ვერსალელმა ძალად არ დააჩოქეს. მილიერმა დაიძახა: „გაუმარჯოს კაცობრიობას“-ო და დაეცა განგვირული.

ჯალათები არ შემცდარან, როდესაც პანთეონის წინ წაართვეს მილიერს ის, რაც მასში მოკვდავი იყო: იგი მუდამ იქნება ახალ კაცობრიობის ახალ პანთეონში.

რევოლიუციონურ საფრანგეთის ქალი პარიზის კომუნის ამორძალად იქცა. გრაკხების და კორიოლების დედა უკვდავია თავის პასიურ შეწირვით, რომელიც შვილების აქტიურ რისხვას ბადებდა. კომუნის ქალები გადმოდიან მანეს და კურბეს ტილოებიდან და ლორწებების მაგიერ ზარბაზნის ლულის გეზს მართავენ.

კომუნის ცეცხლისგან გადარჩენილს, 1871 წლის ჟანნა დ'არკს, ლუიზა მიშელს აღარ უნდა გული უძგერდეს თავის თანამებრძოლთა სიკვდილის შემდეგ.

„მე არ მსურს თავის დაცვა,—ამბობს იგი თავის სიტყვაში ვერსალელთა სამხედრო სასამართლოს წინაშე,—არც ის მსურს, რომ მე დამიცვან. მე შევსწირე ჩემი სიცოცხლე სოციალურ რევოლიუციას და მზადა ვარ პასუხი ვაგო ყველა ჩემი მოქმედებისათვის. მე უარს ვაცხადებ ყოველგვარ შეწყნარებაზე. თქვენ მბრალდებთ მე გენერალთა დახოცვაში მონაწილეობის მიღებას? ამაზე მე გიპასუხებთ: დიახ, მე რომ ვყოფილიყავი მონმარტრზე მაშინ, როდესაც ისინი ხალხისათვის ტყვიის დაშენას აპირებდნენ, მე ერთი წუთითაც არ დავიხვედი იმის წინაშე, რათა ტყვიით გამეგმირა ყველა ისინი, ვინც იძლეოდა ასეთ ბრძანებას. რაც შეეხება პარიზის ხანძარებს, მე ხელს ვუწყობდი მათ, რათა მოგერებული ყოფილიყო დამცემთა იერიში. მე წამქეზებელი არავინა მყავს, მე საკუთარი განზრახვით ვმოქმედებდი. ერთად ერთი, რასაც მე გთხოვთ თქვენ, ვინც უსირცხვილოდ უწოდებთ თავს სამხედრო სასამართლოს, ეს იმას, რომ დამხვრიტოთ მე სატორის მოედანზე, სადაც დაილუპნენ ჩემი ძმები. თუ ყოველ თავისუფლებისათვის ატოკებულ გულს უფლება აქვს მიიღოს მხოლოდ ტყვია, მე მოვითხოვ ჩემ წილს. თუ თქვენ მარგუნებთ მე სიცოცხლეს, მე დაუღალავად განვაგრძობ ჩემი ძმების მოწოდებას მკვლელთა წინააღმდეგ შურისძიებისათვის... მე გავათავე. თუ თქვენ არა ხართ ლაჩრები, მომკალით!“

ეს პატარა ქალი, რომელსაც მებრძოლი პარიზი „წითელ ქალწულს“ უწოდებდა, დაუშრეტელი ცეცხლია. როგორც სოფია პეროვსკაია წმინდანი 1881 წლის 1 მარტის დინამიტით დაკირულ ძმათა, ისე ლუიზა მიშელი პარიზის კომუნის „მშვენიერი დამაა“.

გახრწნილმა ძველმა ქვეყანამ ტიერის გომბეშოს მუცლით გასრისა პარიზის კომუნის წმინდანთა ფიზიკური არსი, მაგრამ მხოლოდ წუთით „განახლების შესდგენ ძალნი“.

პარიზის 72 დღის კომუნა მოძავალ საზოგადოების ჩანასახია. იგი დარჩება განხორციელებულ ოცნებად საფრანგეთის რევოლიუციის გენიისა. იგი აღსდგება ყოველ ამბოხების დროს, რათა პოტიეს „ინტერნაციონალ“-ის ხმებით დაათროს მაშვრალთა და ტვირთ მძიმეთა მეამბოხე სული.



## პ ა რ ი ზ ი.

კომუნის დამარცხებაზე.

ტვირთ მძიმეთ და მაშვრალთ მხსნელი  
დიდი დროშა დაიშალა.

კვლავ ქვეყნისა მჩაგრავ ძალამ  
იგი დროშა დასცა დაბლა.

კვლავ ეწამა მოყვასისთვის  
საოცარი იგი ერი.

კვლავ დაიდგა დიდ წამების  
მან გვირგვინი მშვენიერი.

კვლავ ქვეყნისთვის დაიღვარა  
წმინდა სისხლი წამებულის,  
კვლავ დამარცხდა დიდი საქმე  
ყოვლად მხსნელის სიყვარულის.

კვლავ ძირს დასცეს იგი მცნება  
ქვეყნის ხსნად მოვლინებული,  
რომლისთვისაც თვითონ ღმერთი  
იყო ტანჯულ და ჯვარცმული.

კვლავ შეფერხდა ისტორია,  
განახლების შესდგენ ძალნი.  
და კვლავ დღესასწაულობენ  
გამარჯვებულნი მტარვალნი.

ილია ჭავჭავაძე

## კ ო მ უ ნ ა რ ე ზ ს.

თქვენს ტანჯულ ხსოვნას აღტაცება ჩემი ერთგული,  
თქვენი გმირობა მეწამული თუ დავაფასე!  
ვით ბეატრიჩე, ეიფელი და ტუბერკული  
თქვენი აჩრდილი აიმართა ციურ დაფაზე.

ბარიკადებით დახაზული უცხო პარიზი,  
ყოველი მხრიდან მარტოობით ნაალერსალი.  
რკინის და ცეცხლის გაჩაღდება აქ ასპარეზი:  
მოდის ჯარებით ეშვიანი თეთრი ვერსალი.

და თქვენი ბრძოლა, საშინელი ვით აგონია,  
არის ლალების მასკარადი სხვა ბრწყინვალეობით.  
და თქვენი ტანი ბარიკადზე — ლაოკოონია,  
გველებს რომ ებრძვის — დაკლაკნილი მეტი წვალეობით.

ის თქვენთან არის — კატასტროფის ხარბი მეოსანი.  
თვით არტურ რემზო გაგიჟებულ ბრძოლის უნარით:  
მთვრალი ხომალდის კაპიტანი და ჯვაროსანი  
შორ სივრცეების. მეოცნებე და კომუნარი.

სასტიკი მტერი ამ ბრძოლაში უღმობელია.  
თქვენი აჩრდილი გადიხრება წელში ქალურად,  
და სიკვდილის წინ დაისების სისხლში აღურად  
ჩაიძირება, მშვენიერი ვით ოფელია.

ვალერიან გაფრინდაშვილი.



# კომუნართა სსსფლაოჯე.

(მოგონება)

1913 წელი. მაისის უკანასკნელი კვირა დღე.

ეს არის ორმოც და მეორე დღესასწაული კომუნარებისა.

მესამეთ ვხედავ ამ სამგლოვიარო დიდებას გიგანტურ ბრძოლაში დამხობილ კომუნარებისას.

მენილმონტანისა და შარანტონის რევოლიუციურ მალლობებზე შექანებულა პერ-ლაშეზის სასაჯლაო.

ქვითკირის მალალი გალავანი მკვიდრათ შ მოვლებია ამ მკვდართა სავანეს.

იქ, აღმოსავლეთის უკარო კედელთან მოხდა უკანასკნელი შეტაკება სიცოცხლედ ხელ-ალებულ უკანასკნელ მებრძოლებისა. თავგანწირულ შეკვეთებით მივიდენ თვით საფლავის კარამდის და დაიხოცენ გპირულათ, რომ ეცოცხლათ თაობიდან თაობ ში, ქვეყნიდან ქვეყანაში, საუკუნიდან საუკუნეში.

და რევოლიუციურმა შთამომავლობამ ურყეველ კანონათ დააწესა:

ყოველ წელიწადს, მაისის უკანასკნელ კვირა დღეს ძლევამოსილ ზეიმობით მივიდეს ეპოქალურ მებრძოლთა სავანეზე და მწყობრი რაზმებით შეჭვიცოს განახლება ბრძოლისა განახლებულ მსოფლიოსთვის.

პერ-ლაშეზის წინ გადაშლილა მენილმონტანის იალალი ბულვარი. აქ, ამ ბულვარზე გროვდებიან წინასწარად საზეიმო რაზმები.

ყველაზე ადრე მოსულან საფრანგეთის სოციალისტურ პარტიის სექციები. მათ შემდეგ რიგებს ამშვენებენ რევოლიუციონური სინდიკატები.

აგერ ემატებიან სხვა და სხვა ჯგუფები, ანარქისტების საბავშო სკოლა „La rouche“ მთელი შემადგენლობით. მათ მოსდევენ ანარქისტთა ჯგუფები, წარმოდგენილი არიან რუსეთის ყველა რევოლიუციური პარტიები. არ ჩამორჩენილან იტალიისა და ისპანიის სოციალისტური ჯგუფები, რომელთაც მრავალ რიცხოვანათ მოსდევენ სამხრეთის მზებზედ განომწვარი მუშები.

იმ დროში ულამაზესი რევოლიუციური სანახაობა იყო ეს:

მთელი კილომეტრის სიგრძეზე დელავს და დრტვინავს ხალხის შავი ზღვა. და ზევიდან კი დაჭკრიან ბრძოლის უთვალავ არწივებათ წითელი დროშები.

რა გადაავლებ თვალს — აქა გრძობ ახალი საუკუნის სუნთქვას, ახალი ეპოქის არტახების წყვეტას მთელი მსოფლიოს დასაპყრობათ.

და ამის გვერდზე რა პატარათ გეჩვენება პარიზის პრეფექტი, ქონდრის კაცი ლეპინი.

პოლიციელთა ძლიერის რაზმით გარშემორტყმული იგი მოუსვენრათ დაძრწის ხალხის გარშემო და თითქოს ეძებს საბაბს თავის სისასტიკის გამოსაჩენათ.

თორმეტი საათი ხდება თვალსაჩინო ბელადები თანდათან გროვდებიან. აგერ გამოჩნდა მოხუცი ედუარდ ვაიანიცი. მისი დასწრება ყოველთვის სიმბოლიურია ამნაირ დღეს, რადგან იგი არის ერთად ერთი მოწმე და თანამებრძოლი კომუნარებისა.

სიტყვა ყოველთვის მას ეკუთვნის და მხოლოდ მას დაღუპულ გმირთა აკლდამებზე.

ეს არის ურყევი კანონი, სანამ ვაიანი ცოცხალი არის.

აგერ გედი, სამბა და ტომასი. ხალხი ყველას სიყვარულითა და ყურადღებით ათვალეერებს.

პროცესია ჯერ არ იწყობა. კიდევ ელიან ვილაცას. და აგერ გამოჩნდა იგიც.

ეს არის ჟან ჟორესი. თითქოს ახალი ქვეყანა გაიხსნაო — ხალხი ასე ხარბათ მისჩერებია.

რაღაც ანდამატური ძლიერება ყველას იზიდავს იმისკენ.

იგი სრულიადაც არ არის იმ მკვეთრი გარეგნობისა, როგორც წარმოდგენილი ჰყავს უნახავად ადამიანს ეს უდიდესი ტრიბუნი საფრანგეთისა. ბლუძი, სქელი, დაბალი და ჭადრა მორეული წითელი წვერი უფრო მოუხეშავ ადამიანის შთაბეჭდილებასა სტოვებს. მაგრამ საკმა-



რ ა უ ლ რ ი გ ო.  
დახვრეტილი გე-ლიუსაკის ქუჩაზე 24 მაისს.

რისია მხოლოდ ერთხელ იხილოთ იგი ტრიბუნაზე და მას შემდეგ, როგორც თავისი მოიერიშე ბუნებით, აგრეთვე გარეგნულადაც ფაფარშეყრილ ლომათ წარმოვიდგებათ იგი.

დაიძრენ სამნი ბელადნი: ჟორესი, გედი და ვაიანი, ხალხის მდინარეც მისდევს მათ.

ყოველ კუთხეში დაგროვილია მრავალრიცხოვანი რაზმები პოლიციელთა და გვარდიელთა.

მივადექით, მთავარ ბჭეს პერ-ლაშეზისას. პოლიციელები უდიერათ აწუხებენ ხალხს მითომ და წესის დარღვევის გამო.

შევედით. კარის პირდაპირ, სასაფლაოს შუა გულზე აღმართულა კოლოსალური ქანდაკება ბართოლომეის. სინანული სიცოცხლის განშორებისა და შიში სიკვდილის საიდუმლოებისადმი იქ მრავალ-სახიერ რელიეფად გამოკვეთილა.

სხვა დროს უფრო მეტ ხანს გაჩერდება კაცი მის წინაშე. ეხლა კი საჩქაროა. ხალხს უნდა გაუსწრო წინ, თუ გინდა ნახო ვაიანის ტრადიციული მისალმება განსვენებულ მებრძოლთადმი.

სწორეთ ეს მომენტი საინტერესოა, რადგან მთავრობამ აუკრძალა ყოველივე სიტყვის წარმოთქმა, მაგრამ ვაიანი დაემორჩილება? გაივლის მუნჯათ იმათ წინაშე, ვისთანაც იზიარებდა სიკვდილ-სიცოცხლის წუთებს უსასტიკეს შეჯახებაში?



მივსდევ ფეხდაფეხ ამ სამ ბელადს. უცნობ საფლავთა შორის მივიკვლევთ გზას ძმათა სასაფლაოსკენ.

აგერ მივედით იმ კედელთან, რომელზედაც ზურგით ეყუდნენ უკანასკნელნი მებრძოლნი და მკერდს კი აგებებდნენ გმირულათ ვერსალელთა მუხანათურ ტყვიას.

მხოლოდ ერთი დაფნის გვირგვინი ჰკიდია კედელზე და ეს უფრო ძლიერ შთაბეჭდილებას იწვევს კაცში.

მთელი ეს არე-მარე გაჭედლილია საგანგებოთ დარჩეული ზორბა პოლიციელებით. იგინი ხალხს არ უშვებდნენ ერთბაშად. უნდათ სათითაოდ გაატარონ თავიანთ წრეში და ამით წაართვან ძღვევამოსილება ხალხის თავგამოდებას.

აგერ ვაიანიც გაუსწორდა კედელს. ჟორესი და გედიც გვერდში მისდევდნენ.

პოლიციელები ხელს ჰკრავენ, რომ ჩქარა გაიარონ. მაგრამ ვაიანი ვერ უღალატებს სიკვდილით ძმათ ნაფიცებს.

მოხუცი უეცრივ გაიშალა წელში შეღერებული ვაჟკაცივით და შესძახა:

— უკვდავი საქმის უკვდავო გმირებო!..

აქ შეირყა მთელი რაზმი პოლიციელთა და მოეხვიენ მოხუცს გარშემო. ვაიანს უნდა განაგრძოს. მაგრამ პრეფექტის თანაშემწე, ერთი მთა კაცი, გაშმაგებით ეკვეთება მას და პირზე ხელს აფარებს.

აირია ყველაფერი. ხალხის ტალღამაც ძღვევამოსილად გადმოლახა პოლიციელთა ხროვა. ვაიანი მაინცა სცდილობს კიდევ სთქვას რამე, მაგრამ გააფთრებული პოლიციელნი ძალიძალათ ეწევიან ძირს.

მოხუცი არ ემორჩილება. მას ატყვევებენ და მიაორევენ თავიანთკენ, მაგრამ ვინ დაანებებს? ხალხის მხრივაც ჩავერით ალიაქოთში, წავავლეთ ხელი მოხუცს მებრძოლს და ვსცდილობთ მის განთავისუფლებას. ჩვენ აქეთ ვეწევით, პოლიციელები—იქით. კინალამ შუაზე გავვლიჯეთ საწყალი მოხუცი.

აქ ჟორესი ეხვეწება პრეფექტს: გაუშვით ვაიანი ჩემი პასუხისმგებლობით და მე გავიყვან წყნარათო. მაგრამ უხეში პოლიციელი მასაც შეუტევს უკმეხათ:

— მიბრძანდით ბატონო ჟორესო, თორემ თქვენც დაგატყვევებთ!

მაგრამ ხალხი მაინც თავგამოდებულია. ვაიანს არავის დაანებებს. და სიფრთხილის სამზღვარს გადაცილებულნი გამბედავით შევეჯახეთ მოძალადეებს. ბოლოს ვაიანი კი გამოვვლიჯეთ ხელიდან, მაგრამ სამაგიეროთ რამდენიმე გულადი ბიჭი კი ჩაუვარდათ ხელში.

ჟორესმა წაავლო ხელი და მოჰყავს ქანც მიღებული ვაიანი. გამოდიან სასაფლაოს მეორე მხარეს—გამბეტას მოედანზე. ქუჩები ყველგან სავსეა ხალხით. სადაც კი დაინახავენ ჟორესს, მაშინათვე დასცემენ ალტაცების ყიჟინას:

— გაუმარჯოს ჟორესს! გაუმარჯოს ჟორესს!

ჟორესს რცხვენია თამამად შეიფეროს ასეთი უსაზღვრო პატივისცემა ხალხისა, მაგრამ არც უმადურათ უნდა მოაჩვენოს თავი: იგი გაჩქარებით მიდის წინ და მორცხვად უხდის ხალხს ქუდს. ბოლოს ველარ უძლებს იგი ამდენ საზეიმო შეხვედრას და სასწრაფოდ ჩადის ქვესკნელის რკინის გზის სადგურში.

ვაიანი კი ფეხით განაგრძობს გზას იმ ალტაცებულ ხალხს შორის, რომლის დეპუტატად ითვლება იგი ოცდაათი წლის განმავლობაში.

მე ჩავუარე გამბეტას დაღმართს. ეს არის დასავლეთის კედელი პერ-ლაშეზისა. იქაც არის ერთი უძვირფასესი ადგილი. ეს არის მეორე კედელი კომუნარებისა: კედლის სწორე ქვებიდან მსუბუქ რელიეფებათ გამოიციქრებიან სახენი ბრძოლაში დაცემულ დელაკლიუზის, ვარლენის, ვერმორელის, დომბროვსკის, რიგოსი, როსელის და ბევრის, ბევრის...

თითქოს აღმოსავლეთის კედელთან დახოცილნი დასავლეთის კედლის კლდეებში აღმდგარან და იმ ქვეყნის სამზღვრიდან მრავალმეტყველ აჩრდილებათ გამოსცქერიან ამ ცხოვრებას, სადაც დასტოვეს უღამაზესი მაგალითი თავ-განწირულ ბრძოლისა.

ეს იყო უკანასკნელი დღე კომუნარებებისა, რომელშიაც ერთხელ კიდევ მიიღეს მონაწილეობა ჟორესმა და ვაიანმა:

1914 წელში მთავრობამ სავსებით აკრძალა კომუნართა მოგონების დღე. წინასწარად ამზადებდა ნიადაგს შესაძლებელ ომისთვის. და იმავე წელს—ომის პირველ მსხვერპლათ გადაიქცა ჟორესი.

ისტორია მარატისა და შარლოტ კორდიესი განმეორდა ჟორესისა და ვილენის სახით.

ომის სისხლიან წლებში ვაიანიც გამოესალმა წუთისოფელს.

1913 წელი კომუნართა საფლავზე—ეს იყო უკანასკნელი სალამი და სამუდამო გამომშვიდება დიდებულ მებრძოლთა დიდებულ მებრძოლებისადმი.

ლელო

## პარიზის კომუნა და ქართველი საზოგადოება.

არა მგონია, პარიზის კომუნას ისეთი თაყვანის მცემელი ჰყოლოდა სადმე, როგორც საქართველოში. ევროპაში კომუნას იმ დროს მრავალი მოწინააღმდეგე ჰყავდა. მათის აზრით, კომუნა და მისი მოღვაწეობა საფრანგეთის დაღუპვის მომასწავებელი იყო. კომუნის წინააღმდეგ ბევრსა სწერდნენ გამოჩენილი მეცნიერნი და მოღვაწენი, ისეთნი, მაგალითად, როგორნიც იყვნენ ერნესტ რენანი, ოგიუსტ კონტი, ლუი ბლანი, ჰერბერტ სპენსერი და სხვანი.

ასე იყო ევროპაში. სულ სხვასა ვხედავთ საქართველოში. აქ კომუნის შესახებ ორი აზრი არ არსებობდა.

ყველა შეგნებული ქართველი, ვინ-კი ევროპის ამბებს თვალყურს ადევნებდა, კომუნის მომხრე და თაყვანის მცემელი იყო, როგორც უკვე ავლნიშნეთ. დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ საქმეში გაზეთ „დროებას“. იგი მუდამ გატაცებით სწერდა კომუნისა და კომუნისტების შესახებ. გაზეთის ფურცლები სავსე იყო მათი ამბებით. როდესაც კომუნის საქმე გაიჩა და მეთაურებს დახვრეტა გადუწყვიტეს, გაზეთი გულწრფელ მწუხარებას გამოსთქვამდა ამის გამო.

გაზეთთან ერთად მთელი საზოგადოება თანაუგრძობ-



და კომუნისტებს. ყველა წრე და ჯგუფი გატაცებული იყო მათ იდეებით და აზრებით. სხვათა შორის 1872 წელს ქართველმა განათლებულმა ქალებმა მთელი წიგნიც-კი გადმოთარგმნეს და დაბეჭდეს ქართულად. წიგნში მოთავსებული იყო სხვა და სხვა წერილები კომუნისტების შესახებ. ამ წიგნმა დიდი გავლენა იქონია ქართველ საზოგადოებაზე.

მაგრამ როგორც ახლაც ყოველთვის, სხვებზე ბევრად ახალგაზრდობა იყო გატაცებული. ტფილისში არსებობდა ახალგაზრდობის მთელი წრე, რომელიც იმ ზომამდე გაიტაცა პარიზის კომუნის ამბებმა, რომ წრის წევრებმა გადასწყვიტეს. პარიზში წასვლა და იქ კომუნისტების შევლაც-კი. ჩვენ ვიცით ამ წრის ზოგიერთი მონაწილის სახელი ესენი იყვნენ: მიშო ყიფიანი, გიმნაზიის მოწაფე, ვასო დეკანოზიშვილი, სემინარაელი, სოსიკო მაყაშვილი, გიმნაზიელი და სხვანი. სულ წრეში 25 კაცამდე ყოფილა. სამწუხაროდ, ამ ყმაწვილ კაცების კეთილშობილი გატაცება ტრაგედიით დასრულდა: წრის ერთმა მონაწილემ ამხანაგები გასცა და მთავრობამ მყისვე დააპატიმრა რამდენიმე კაცი. სოსიკო მაყაშვილი და ვასო დეკანოზიშვილი ციხეებში გარდაიცვალნენ—მაყაშვილი ტფილისის ციხეში, ხოლო დეკანოზიშვილი გორისაში. დანარჩენი მთავრობამ აქეთ-იქით გაჰფანტა.

თვით ანტონ ფურცელაძეც ვგონებთ იყო წევრი ზეხსენებულ წრისა. ანტონ ფურცელაძემ მოთხრობაც კი დასწერა „ვაი მართალთა!“, სადაც ქართველი კომუნისტები გამოიყვანა, რა თქმა უნდა, ბუნდოვანად და გადაკვრით, რადგან მაშინ ცენზურის წყალობით, ამისთანა რამეზე აშკარად წერა არ შეიძლებოდა. მოთხრობაში ორ ქართველ კაცს და ერთ ქალს პარიზის კომუნის ბრძოლაში ეღებათ ბოლო. მიშო დროშით ხელში ბრძოლის დროს იღუპება. ამ მიშოში ვგონებ დეკანოზიშვილი უნდა იყოს გამოყვანილი. შეიძლება ამ პირველ ქართველ კომუნისტების რომელიმე ამხანაგი დღესაც ცოცხალი იყოს და მან უფრო დაწვრილებით იცოდეს ზემოდ მოთხრობილი ამბავი.

ქართველობა ისე იყო გატაცებული პარიზის კომუნით, რომ არ დარჩა მწერალი, რომელსაც ამის შესახებ ხმა არ ამოედოს. დიდად საყურადღებო წერილი დაბეჭდა ნ. ნიკოლაძემ; ხოლო ილია ჭავჭავაძემ ლექსიც-კი უძღვნა. ამ ლექსს „პარიზი“ ჰქვია და იქ ასეთი სტრიქონებია:

კვლავ ეწამა მოყვასთათვის  
საოცარი იგი ერი,  
კვლავ დაიდგა დიდ წამების  
მან გვირგვინი მშვენიერი.

კომუნიზმის აზრები და იდეები ნელ-ნელა ქართველ მუშებსა და ხელოსნებს შორისაც გავრცელდა. მაშინ პირველად გაჩნდნენ ხელოსნებსა და მუშებს შორის გაზეთის მკითხველნი. ცოტანი იყვნენ, მაგრამ ვინც იყო, გულმოდგინედ ეწაფებოდა ცოდნას. როდესაც შემდეგში, მეოთხმოცე წლებში, მუშებისა და ხელოსნების წრეებს გავეცანი, გამაკვირა ზოგიერთის შეგნებამა და ცოდნამ. ეს შედეგი იყო მესამოცე წლების მოღვაწეთა მოქმედებისა. სამწუხაროდ, ფართო მასსებში ცოდნისა და სწავლის გავრცელებას უწიგნობა უშლიდა ხელს. მაშინ წიგნი სანთლით იყო საძებარი. განსაკუთრებით ისეთი წიგნი, რომელიც მუშისა და ხელოსნისათვის იყო გამოსადეგი.



ო. დ რ მ ი ე. კომუნის გლოვა.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილმა წერილმა რობერტ ოვენის შესახებ. აი ასეთ წერილებსა და წიგნებს ეტანებოდნენ ხელოსნები და მუშები. წიგნის კითხვის წყურვილმა უფრო გაიღვიძა პარიზის კომუნის ამბების შემდეგ. ხშირად ერთ გაზეთს, სადაც კომუნისტების შესახებ წერილი იყო დაბეჭდილი, ოცი და ოცდაათი კაცი კითხულობდა. ვისაც წინად გაზეთი თვალთ არ ენახა ის ეხლა თავის ფულით ყიდულობდა და თუ თითონ კითხვა არ იცოდა, სხვას აკითხებდა, ყურს უგდებდა და ისე იგებდა მისთვის მეტად საინტერესო ამბებსა და აზრებს. ქართველი ხელოსნები და მუშები გულის ფანქცხალით კითხულობდნენ მეთაურთა პროტესტის აღწერას. ამ მეთაურების დახვრეტის ამბავმა ბევრ ქართველს მუშასა და ხელოსანს დაადგრევინა გულწრფელი ცრემლი.

ვიმეორებ, კომუნისტების ისტორიამ ბევრი უბრალო ქართველს აუხილა თვალი და გაუნათლა გონება. სამწუხაროდ, მაშინდელი ჩვენი მწერლობა იმდენად ღარიბი იყო, რომ ერთხელ გაღვიძებულ გონებას გასაქანს ვერ აძლევდა. აი ამ გარემოებამ გამაბედვინა მეოთხმოცე წლებში შევდგომოდი მუშებისა და ხელოსნებისთვის წიგნების გამოცემას. პირველად 1885 წელს გამოვეცი ცალკე წიგნად რობერტ ოვენის ცხოვრება. ძნელი იყო მაშინ ამ წიგნის დაბეჭვდა—ცენზორი ნებას არ იძლეოდა. ცენზორის ბრწყალებს თავი იმით დავაძვრინე, რა წიგნს სათაური შეუცვალე და ისე გამოუშვი. ჩემ წიგნს ერქვა: „კაცის ხასიათის გადამკეთებელი რობერტ ოვენი“. ცენზორმა ყურადღება აღარ მიაქცია და წიგნი გამოვიდა. გულში მაინც შიში მქონდა. ამიტომ საცენზურო კომიტეტს 1200 ცალი ვაჩვენე. თუმცა 3600 ცალი დავბეჭდე.



ვიფიქრე — თუ 1200 ცალს დაიჭერენ 2400 ცალს ჩუმად გაავარცელებ ხალხში მეთქი.

ამ წიგნმა დიდი გავლენა იქონია მუშებსა და ხელოსნებზე. ერთი წლის განმავლობაში 1000 ცალი გაიყიდა, მეორე წელიწადს — 500 ცალი და შემდეგ ყოველ წელიწადს — 200 — 300 ცალი იყიდებოდა იმ დროსთვის წიგნის ასე გასაღება არა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ამან უფრო გამამხნევა და სხვა წიგნების გამოცემას შეუდექი. მალე დავბეჭდე „პრუდონის ცხოვრება და მოღვაწეობა“ შემდეგ — „სენ-სიმონის ცხოვრება“ და ბოლოს — „ფურიეს ცხოვრება და მოღვაწეობა“.

როგორც ცის მანანას, ისე ეტანებოდა საბრალო ხალხი ამ წიგნებს. ბევრი მაღლობა მივიღე მათი გამოცემისთვის.

დღეს გარემოება გამოიცვალა, ლიტერატურა გადიდრდა. სულ სხვა იყო ორმოც-ორმოც და ათი წლის წინად. მაშინ პატარა წიგნსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, გაზეთში დაბეჭდილი ამბავი პარიზის კომუნის შესახებ ხომ მთელ სასწაულს ახდენდა.

ზ. კიჭინაძე.

### პარიზის კომუნა და ხელოვნება.

რევოლიუციონური კატასტროფები და მსხვერპლის გეკატომბები ყოველთვის საუკეთესო მასალა იყო და არის ხელოვნებისათვის. ბევრს ეუბნება და ბევრს სიახლეს ჩაჰბერავს ხელოვნის გულს პოულოღნელი ქარტეხილები. ეს იგივე ოცნებაა ხელოვანის.

საშინელი ტრადედია პარიზის კომუნისა — მისი ენტუზიაზმი, მისი გამირული ბრძოლა ჯერ კიდევ ბუნდოვან კომუნის იდეისთვის, მისი სისხლიანი ბოლო — არ შეიძლება დარჩენილიყო აღუნიშნავი ხელოვნებაში. იგი გიგანტიური ისტორიული ქარტეხილი იყო და დასტოვა თავისი სახე ხელოვნებაშიც, ეს სახე — როგორც მოსალოდნელია რევოლიუციის ჩქარი ტემპის გამო — სუსტია, მაგრამ იგი მაინც იძლევა იმ რევოლიუციონურ სულისთქმას, რომელიც განიცადა მაშინდელმა ხელოვანმა — ლიტერატორმა. 18 მარტი, აღიარება კომუნისა, ზეიმი ნაციონალურ გვარდიისა და მუშების, ქუჩის ბრძოლები, და ბოლოს სისხლიანი ქუჩები დამარცხებული კომუნარებით და უკანასკნელი თავისშეწირვა გმირებისა; აი ეს ყოველივე აისახა ხელოვნების ისტორიაში.

ჰყავს კომუნასაც თავისი შესანიშნავი და ნიჭიერი ლიტერატორები და მხატვრები, რომლებსაც ვერ დავიწყებს ხელოვნება. პოეტმა ვიკტორ ჰიუგომ თავის ძლიერ რომანებში, მთელი თავისი რომანტიული აღმაფრენით აღწერა კომუნა, მანვე აღწერა მისი საშინელი აღსასრული, თავის „საშინელ წელში“ მან გადაგვიშალა სურათი დალუპვისა და „მაისის კვირისა“ უკვდ ვია მისი რომანის „გავროშის“ ახალგაზრდა ტიპი „გამენი“, გამენები“ ე. ი. ქუჩის პროლეტარი — შიშველ მშიერი ახალგაზრდები განსაკუთრებულ როლს თამაშობდენ ამ რევოლიუციაში, თავდებდა და გამირული სიკვდილი თავდაცვის უკანასკნელ სისხლის წვეთამდე, თამამი შეხვედრა სიკვდილისადმი, აი როგორია ჰიუგოს „გამენი“.

მხატვარმა ონორე დომიემ, ამ უდიდესმა სატირიკმა საფრანგეთისამ თავის ნაშრომების მთელ წყებაში აღწე-

რა და გადმოგვცა დანგრევა პარიზის პროლეტარულ უბნებისა, დალუპვა რესპუბლიკისა და სხვ. და წარმოიდგინეთ იმპრესიონიზმის მამა მთავარმა ედუარდ მანმაც ვერ მოითმინა ამ საშინელი თეთრი ტერორის თავაშვებულება და მთელ რიგ თავის ნაშრომებში გადმოგვცა „უკანასკნელი ბარიკადები“. ეხლახან გარდაცვალებულმა საფრანგეთის შესანიშნავმა მხატვარმა ტეოფილ სტეინლენმა, თავის შემოქმედებითი ნიჭიერება ამ რევოლიუციას შესწირა: მან მოგვცა შესანიშნავი შრომები კომუნის ისტორიიდან; ასეთია კეტე კოლვიც, კრენ და სხვა მრავალნი. განა მხოლოდ რევოლიუციის პასივ ასახვით და გადმოცემით დაკმაყოფილდნენ რევოლიუციის ხელოვანები: რეალიზმის, ერთერთ მამამთავრის გუსტავ კურბეს სახით ხელოვნებამ მისცა რევოლიუციას აქტიური რევოლიუციონერი, მან პირველმა მოახდინა გაბედული დემონსტრაცია პროლეტარიატისა ხელოვნებაში (განსაკუთრებით მხატვრობაში) იგი სწორედ ისე როგორც ელიზე რეკლიუ აღფრთოვანების; მიდის კომუნაში როგორც წარმომადგენელი ხელოვნებისა (მეორე როგორც წარმომადგენელი მეცნიერებისა). ამ „ვანდალ“ კურბეს და მხოლოდ კურბეს ენერგიული ცდის მეოხებით გადარჩენილ იქმნა საფრანგეთის ცნობილი ხელოვნების მუზეუმი „Luvr“-ი და როდესაც გაიმარჯვა რეაქციამ კურბე — ეს ენერგიული დამცველი ხელოვნების ნაშთების სასამართლოში იქნა მიცემული, როგორც „ვანდალი“ და განმანადგურებელი კულტურულ ღირებულებათა, იგი დასაჯეს და გაქცეული — რევოლიუციონერთა მუდმივ თავშესაფარ — შვეიცარიაში ოთხი წლის შემდეგ მოკვდა დიდ სიღარიბეში. ესე უღმობელი იყო გაჰარჯებული რევოლიუციონურ ხელოვანის მიმართ, როგორც ყველა იმ რევოლიუციონერების მიმართ, რომელთ წილათ ხვდათ ვერსალელთა ხელით ჯოჯობეთური წამების გოლგოთა და რომელიც ტრაურული შიფრით აღინიშნა ხელოვნების ისტორიაში.

ქ.







✕ იროდიონ ევდოშვილი. გადასახლებული ციმბირში მიემგზავრება სხვა პოლიტიკურ დამნაშავეებთან ერთად.

## ან ჩვენ ან მტერი

დაუბეჭდავი ლექსი.

მთვარე, ვით მთვარე, ისევ მთვარეა,  
 მზეც ისევ მზეობს, როგორც წინათვე;  
 სულ არ შეცვლილა ზამთარ ზაფხული,  
 თიბათვეს მოსდევს ესევ მკათათვე.  
 ნუ თუ ის მხოლოდ სიზმარი იყო?..  
 მაშ გულმა რისთვის გაიზაფხულა?  
 ნუ თუ ერთ წუთით? ნუ თუ ერთ წამით?  
 მან მოისვენა ისიყვარულა!  
 სად არის კიდევ მითხარით, ძმაო,  
 ჩემებრ ტანჯული და უარესად?  
 სად არის კიდევ მთელი ადგილი,  
 რომ მკერდს მახვილი არ მოჰხვდა გესლად.  
 დეე დაბრუნდეს, დაუტრიალდეს,  
 კიდევ და კიდევ ჩაესვას წვერი!  
 და დაფატრულმა გულმა შესძახოს  
 დღეს გადასწყდება: ან ჩვენ—ან მტერი.

ი. ევდოშვილი.

ეს ლექსი დაწერილია ავტორის მიერ ვოლოგდის გუბერნიის ქ. სოლვიჩევოდსკში, სადაც მგოსანი გადასახლებული იყო 1909 წ. ტფილისის გენერალ-გუბერნატორის ლოზინო-ლოზინსკის განკარგულებით. ირ. ევდოშვილმა ციმბირში და ციხეში ოთხი წელიწადი დაჰყო, იქედგან დაბრუნდა ქლექით დასნეულებული და გარდაიცვალა 1916 წელს, ტფილისში.

ჩვენი ჟურნალის შემდეგ ნომრებში მოთავსებული იქნება სხვა დაუბეჭდავი ლექსებიც ირ. ევდოშვილის, რომელნიც აღმოჩნდნენ მის ქაღალდებში.



# პროლეტარული პოლიტიკური პოლვანე და გერმანიის ლენინი.

(გაგრძელება \*).

## ბ. ლენინი.

(სოც.-დემ., პრუსიის ლანდტაგის თავმჯდომარე)

მსოფლიო სოციალისტურ პროლეტარიატს ლენინის სიკვდილი უეჭველად ღრმად ააღელვებდა იმ შემთხვევაშიაც კი, რომ ის, საბჭოთა რუსეთის მეთაური არ ყოფილიყო, რადგან ლენინი უკვე მსოფლიო ომამდე მარქსიზმის ერთი უდიდესი თეორეტიკოსი იყო. იმ უდიდესმა განძმა, რომელიც მან მიუძღვნა პროლეტარიატს, უღრმესი მადლობა უნდა აღუძრას ლენინისადმი ყველა მათ, ვინც მუშაობს სოციალიზმის გამარჯვებისათვის.

ჩვენში სამუდამოდ დარჩება გულწრფელი აღტაცება ლენინის მუშაობით მუშათა კლასის საკეთილდღეოთ, თუმცა ლენინმა თავის განთავისუფლებულ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ უფრო სწორად სცნო კლასობრივ ბრძოლის სხვა მეტოდები გამოყენებინა.\*\*) მუშათა მოძრაობის მიზნის და ტაქტიკის საკითხში ღრმა უთანხმოების გამო იგი გაეთიშა თავის წინანდელ სოციალისტურ თანამოაზრეებს და მკვეთრად შეუტია მათ. დეე, რუსეთის ეკონომიურმა, პოლიტიკურმა და კულტურულმა პირობებმა, მისი შეხედულებით, დემოკრატიულ სოციალიზმის უარისყოფის აუცილებლობა შექმნას, მაგრამ სხვა ქვეყნების იმ გვარივე პირობების მართებულ შეფასების შემდეგ პროლეტარულ ბრძოლის მთლიანობა არ უნდა დარღვეულიყო. მაგრამ მიუხედავად ამისა, არავის არ შეუძლია სთქვას, რომ ლენინს ამოძრავებდა სხვა რამე გარდა მუშათა კლასის კეთილდღეობისადმი უწმიდესი მისწრაფებისა. და თუ ის მეტოდები სოციალისტურ იდეალის მისაღწევად, რუსეთში რომ იყენებენ, შეუძლებელია ძალდატანებით გამოყენებულ იქმნან სხვა ქვეყნებში, უმთავრესად, გერმანიაში, მაინც ლენინის დაუფიწყარ დამსახურებად დარჩება ის, რომ მან თავის ნაწერებით დიდი სამსახური გაუწია გერმანიის სოციალ-დემოკრატიის თეორიულ აღზრდას. ლენინის სახელი დარჩება მუშათა მოძრაობის ისტორიაში ყველაზე უფრო მნიშვნელოვან სახელთა შორის.

## კაულ ფრანსენ.

(ბერლინის მემარცხენე სოც.-დემ. ბელადი, პრუსიის ლანდტაგის წევრი).

ბურჟუაზიული დემოკრატია სიძულვილით აღსავსე ლანძღავს ლენინს. ლენინის თეორიის შესახებ მხურვალე დავა ტრიალებს. ლენინი თითქო მათრახით გაიძულეს გარკვეული პოზიცია დაიჭირო იმისადმი, რაც მან შექმნა სინამდვილისაგან. მაგრამ ისტორიამ უკვე წარმოსთქვა თავისი მსჯავრი. ლენინის აზრები უკვე სინამდვილეთ იქცა გერმანიაში: ბურჟუაზიულ დიქტატურის საფარი, სა-

ხელდობრ ბურჟუაზიული დემოკრატია, დაეცა. მძიმე პროლეტარიატის ტანჯვა ამ რეჟიმის დროს. იზრდება პროლეტარულ დიქტატურის შეგნება და მისდამი მისწრაფება. ლენინის მოძღვრებას ევროპაშიაც ითვისებენ, იქაურ პირობებთან შეფარდებით.

## იაკობ ალტმაიერ.

(გერმანიის გამოჩენილი სოც.-დემოკრატი).

ლენინის პოლიტიკა იყო პროლეტარიატის დიქტატურა, ჩვენ კი წელთა განმავლობაში ვიბრძოდით დემოკრატიისათვის. რუსეთში არაა დემოკრატია, მაგრამ იგი არაა გერმანიაშიც. ლენინის ქვეყანაში დათრგუნვილია ბურჟუაზიის ძლევა-მოსილება, ჩვენში კი ბურჟუაზიის ბატონობა შეიქნა უფრო განუსაზღვრელი ვიდრე ეს ოდესმე ყოფილა. მისი დიქტატურის ქვეშ კონსტიტუცია უფლება და კანონი უვარგის ქალაქის ნაგლეჯებათ გადაიქცნენ. რუსეთში დიქტატურისათვის ბრძოლამ აღურაცხელი მსხვერპლი მოინდომა, მაგრამ გერმანიაში ეს მსხვერპლი თავის სიცოცხლით, სისხლით და ქონებით მიაქვს მხოლოდ და მხოლოდ პროლეტარიატს, დამონებულს როგორც არასოდეს. თავის მიზნის მისაღწევად გერმანიის ბურჟუაზია არ შეჩერებულა არავითარ სიმდაბლის და საზიზღრობის წინ, არ მორიდებია ცილისწამებას, სამარცხვინო სასამართლო განაჩენებს და მკვლევობებს. უბოლშევიზმოდ, ურევოლიუციოდ, როდესაც საწყობები სავსეა ყოველგვარ ნედლ მასალით და პური, ხალხის მასა შიმშილობს, იყინება და კვდება ძალა მიხდილი. არასოდეს არყოფილი, აუწერელი გაჭირვება და უმუშევრობაა გამეფებული. ყოველი მეხუთე ბავშვი გერმანიაში კვდება სიცოცხლის პირველ წელშივე. ეკონომიურ, პოლიტიკურ და სოციალური მხრივ მთელი გერმანიის პროლეტარიატი გადატყორცნილია ორმოცი წლით უკან.

რუსეთი ცოცხლობს, როგორც ერი და როგორც მსოფლიო სახელმწიფო. გერმანიის ბურჟუაზიამ კი დაღუპა და გაჰყიდა თავისი „სამშობლო“, რათა გაეგსო თავისი ჯიბე. გერმანია, როგორც ერი, იგრიხება კონვულსიებში და, არავინ იცის, იქნება ერთ მშვენიერ დღეს მას ბოლოს მოუღებს ბავარული ვანდია ფრანგ გენერლებთან თანამშრომლობით.

ასეთ შედეგამდე მივიდა თანამედროვე გერმანია, და არაა საკვირველი, თუ გერმანიის სოციალისტურ პროლეტარიატის მილიონები გლოვობენ ლენინს, როგორც თავისას; არაა გასაკვირი, რომ გახრწნის გზაზე დამდგარი გერმანიის ბურჟუაზია პატივისცემით და შურით იყურება აღმოსავლეთისაკენ, დღითი დღე ძლიერების და ძალის მომკრებ რუსეთისაკენ.

## გაქსიმილიან გარდენ.

(გერმანიის გამოჩენილი პუბლიცისტი).

1922 წელს სწერდა „Zukunft“-ში: დამტვერილ ჩექმებში, ნახმარ კურტკაში, რბილ გაქელილ პერანგში ჩაცმულმა ხანში შესულმა კაცმა გაი-

\*) იხ „დროშა“ № 9.

\*\*) ვ. ი. ლენინის მუშაობა მისი რუსეთში დაბრუნების შემდეგ ლოლიკური და მიმყალი დასკვნა იყო ყოველივე იმისაგან, რასაც ის ჯერ კიდევ 90-იან წლებიდან გამოსთქვამდა თავის ნაწერებში.



არა ივერიის კარები და ქუდი არ მოიხადა სასწაულოთ მომქმედ ჯვარის წინ. და რუსულ ისტორიულ სიწმიდეთა კაპიტოლიის მწვერვალზე დაჯდა თავისუფლად, როგორც უბრალო სამუშაო ადგილზე. იქვე ღვთისმშობლის გვერდით ბოლშევიზმი გაიშალა მთელი თავისი შინაარსით, როგორც რუსული სოციალიზმი, მან გამოაჩინა თავისი თეორია და პრაქტიკა, როგორც თავისებურმა მარქსიზმმა, ევროპეულმა და იმავე დროს აღმოსავლურმა. ბოლშევიზმისათვის და ლენინისათვის მოსკოვი ძღვევამოსილობის წყაროდ იქცა. იგი, სწორუპოვარი, უყვარს მუშას და გლეხს და, საკვირველიცაა, ქალაქის „მეშხანიცი“ კი, რომელსაც ოთხი წლის წინ ლენინმა ჩამოართვა „ბურჟუაზიული“ იერი, ყველა ბოლშევიკურ ბელადებში მეტის პატივისცემით ეკიდება ლენინს.

გლეხებისა და მოქალაქეთათვის, მუშებისა და ჯარისკაცებისათვის ლენინი—სამშობლოს განსახიერებაა. დაუძინებელი და ძალადაუღეველი მოდარაჯეა. არა მარტო დროშა და სიმბოლოა, არამედ რევოლუციის არსებაა. ილიჩი ხომ არ მოითმენს, რომ მიწა გლეხებისაგან ისევ მემამულეების ხელში გადავიდეს. ილიჩი იზრუნებს იმათზე. მას უყვარს თავმდაბალი და ღარიბი და ილწვის მათთვის და მათ მაგიერ. უსაქმოდ წინ არ ეჩრება, ქებას არ ეძებს, სადა, ხალხური ლაპარაკი იცის; იტყვის რაც საჭიროა კრებაზე, შემდეგ შეუმჩნევლად წავა, მიუჯდება სამუშაოს და აუდგომელად იჯდომება თექვსმეტი, თვრამეტი საათი. სადა ჩაცმა იცის, ფრაკი და საყელოები არ იცის, მიუხედავად იმისა, რომ კრებულში ისაა პატრონი.

რუსია ძვალითა და რბილით. თათრულად თვალები განზე აქვს და ტუჩებიც კალმიკურად ცოტათი გადმობრუნებული. უცხოის არა სცხია რა. პირველი რომანოვი, ფეოდორ ლიტვის თუ პრუსიის დიდ ბოიარებიდან იყო, თითონ რიურიკი—ისიც გერმანელი იყო, ეს კი—ნამდვილი რუსია.

აღრე თუ გვიან იმავე ივერიის კარებიდან ევროპის მთვრალ გულამდეც მიაღწევს იმისი ხმა, ვინც შენთვის ლატაკ მანსარდიდან დაწყებული ძველ კრემლამდე ცდილობდა განეხორციელებინა თავისი რწმენა, რომ ქვეყნისათვის რეალობად, დიდ ბედათ გარდაექცია იგი.

თუ ევროპის დომხალი და აღრევა ვერ ასცდა დროისგან გაცვეთილ და ოფლისგან გაქონილ თოკებს, ვერ გაუხტა მშიშარ მოძალადე ხელებს მას რომ ტყვეობისაკენ მიათრევენ, და ვერ გადავიდა უმაღლეს ვალისა და საჭირო ერთობის შეგნებაზე, სიცოცხლე გადაექცევა ევროპას რუხ სუდარად და ღამე გადაექცევა ღღეთ.

რუსეთის მშობიარობის ტკივილები ევროპას გადაექცევა ჩქარი დამანჯვის გრეხათ.

ლენინის სიკვდილის შემდეგ სწერს:

ის სწორუპოვარი იყო: რადგან ის არა მარტო სიმბოლო და დროშა იყო, ის თითონ საქმე იყო, მისი სიკვდილი შეუძლებელია: რადგან მის ხატებაზე, რომელიც კრომველის, ბონაპარტის და ბისმარკის სახესავით შეიძლება დიდ პოეტის ქმნილება ყოფილიყო,—ლენინის ხატებაზე დაუღალავად განაგრძობს მუშაობას ხალხის ფანტაზია. იგი ნაწილია უძველეს რუსულ მიწის (შინაგან და გარეგან „ტატარშინით“ დადალული); მისი მეცნიერი შუბლის ფოლადის თაღის იქით ცოცხლობდა ინსტინქტი, საღი გონება და ჰუმორი გლეხისა, რომელიც სადა სახე-

ებით გამოხატავს თავის ნააზრევს და ნებისყოფას. მისი გავლენა განუსაზღვრელად მოედო მთელ მსოფლიოს: მან და არა ჯარმა და სარდალმა მოჰკლეს ცარიზმი და უფსკრულში ჩაანარცხა ორი სხვა დიდი იმპერია; და ყველა მუსტაფა-ქემალებისა, მუსოლინების, სტამბულინსკების, ხორტების, პრიმა-დე-რივერების, აგრეთვე ებერტების და მაკდონალდების სცენაზე გამოსვლა შესაძლო შეიქნა იმიტომ, რომ იყო ლენინი. მხოლოდ დაწვრილმანებულ გონების სიჩლუნგეს შეუძლია ამ საფლავის წინ იკითხოს—დასაშვებია თუ არა აღტაცება კომუნისტით ბურჟუაზიულ განმარტების გარეშე. ინსტინქტიურ შეუცოდველობით ლენინი გამოიცნობდა მიჯნების გადატანის აუცილებლობას, რომელიც გარემოების სწორ გათვალისწინებიდან გამომდინარეობდა. ამ ინსტინქტის გარეშე ის ვერ გახდებოდა სოციალიზმის პავლე. იმ ლენინმა, რომელმაც შეუბრალებლად დასცინა სტრუვეს მოწოდებას „მივეშველოთ კაპიტალიზმსო“, სულ სხვა გარემოებაში, შეიძლება ვსთქვათ, სხვა ცის ქვეშ წარმოსთქვა ცნობილი სიტყვები: ყოველ ჩვეულებრივ ნოქართან ჩვენ შეგვიძლია ვისწავლოთ და კიდევ უნდა ვსწავლობდეთო. ის არასოდეს არ ყოფილა იმაზე მეტად დიადი, როგორც ამ სიტყვაში თავის პარტიის მე-XI ყრილობაზე, ამ უდიადესად მკაცრ გულწრფელ აღიარებაში, რომელმაც სინას სიმალლიდან ბრძანა სტრატეგიულად აუცილებელი უკან დახევა. ავადმყოფობის ჭია მაშინ უკვე ღრღნიდა მას; მაგრამ მისი მზის ჩასვენების წინ, ცა კიდევ ერთხელ გაბრწყინდა მის სხივთა ქვეშ, და ჯერ არასოდეს არ ყოფილა ესოდენ დამაბრმავებლად ბრწყინვალე და დიდებული დილა და შუადღე. ასეული მილიონები, აზიის უკუნით სიბნელის კარამდე, მასში, ილიჩში, ხედავენ ნათესავს, ძმას, მეგობარს, მასწავლებელს და დამცველს, თავის იმედების სხივოსან კანდელს. გადაშალეთ დროთა წიგნი: სად ან როდის ყოფილა მზგავსი რამ ისტორიაში? მოკვდა ადამიანი, რომლის ტოლი არ არსებობს, და მის საფლავთან მისი გენია უძლეველი, პრომეთეს შეუპოვრობით გვიხმობს ხვალინდელ დღის ვალის გადახდისაკენ.

**ტ ო მ ა ს მ ა ნ .**

(გერმანელი რომანისტი).

უქველად, ლენინი მსოფლიო ისტორიული მოვლენაა. ფიქრთა მპყრობელია ახალ, დემოკრატიულ, გოლიათურ სტილისა. ნებისა და ასკეზის ძალღონით სავსე შეერთებაა. დიადი პაპაა იდეისა, ღვთაებრივ ქვეყნის დამქცევ რისხვით მოსილი. ჰეროიკულ საგის ზღაპრული რაინდი, რომელმაცა სთქვა: „წყეულ იყოს ის, ვინც სისხლის შიშით ჩააგოს თავისი ხმალი“.

**გ ე ნ რ ი ხ მ ა ნ .**

(გერმანელი რომანისტი).

ლენინის ცხოვრებაში ჩვენ ვხედავთ შეუმუსგრელ ერთგულებას საქმისადმი, რომელიც აუცილებლად გადაბმულია შეუბრალებლობით ყველა იმათადმი, ვინც წინ ელობება ამ საქმეს. ამ ერთგულობისათვის მე უნდა შევურიგდე ამ შეუბრალებლობას. ეს მიაღვილდება მე იმი-თი, რომ ლენინმა იცოდა თავის საქმის შეცვლა ცოცხალ



ადამიანთა მოთხოვნებისამებრ. მაშასადამე, მას ადამიანები ჰყვარებია არა ნაკლებ თავის საქმისა: ამიტომ იყო ის დიადი თავის შემოქმედებაში.

ლენინის სიდიადე კიდევ უფრო ნათელი გახდა ჩემთვის თანამედროვე გერმანიასთან შედარების შემდეგ. რას ვხედავთ ჩვენში? მხოლოდ ბრმა სიძულვილს იდეასა და საქმისადმი, იდეისადმი, როგორც გამაახლებელ პრინციპისადმი, და ადამიანთა კრებულისადმი, როგორც ქმედით გონების საქმისადმი. ჩვენში ყველაფერი მიშვებულა უაზრო შემთხვევის ნებაზე და შედეგად მივიღეთ მხოლოდ დაშლა და ისიც არა სრული დაშლა, რის შემდეგ მარჩიელურად, ბრმად ცდილობენ უვარგისის დაბრუნებას და ამას ნათლავენ „აღდგენის“ სახელით.

გერმანიაში ჩვენც გვაქვს ექსპროპრიაცია, მასიური შიმშილი და მთელ კლასთა ამოხოცვა. ამას ემატება ზნეობრივი დაცემა. ადამიანები თავის წინ მომავალში ველარ ხედავენ გზის მაჩვენებელ ვარსკვლავს, მათ ამამალლებელ იდეას. როგორც არ უნდა შეხედოთ იმას, რაც მოხდა რუსეთში, ლენინმა თავის ხალხი უფრო ბედნიერი გახადა და ამიტომ ის თითონაც უფრო ბედნიერი იყო ვიდრე, შეიძლება, რომელიმე გერმანიის მოღვაწე.

**რომენ როლან.**

(საფრანგეთის გამოჩენილი მწერალი)

ლენინი—ჩვენი საუკუნის ყველაზე უდიადესი საქმის ადამიანია და ყველაზე უანგარო.

**შტრაუზმან.**

(გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრი).

ლენინი დაჯილდოებული იყო ყველა ერთ მიზნისაკენ მიმართულ გზათა გაერთიანების დიადი უნარით და იმ გამბედაობით, რომელიც მის გეგმებს აერთებდა მისალწევ რეალობასთან. ამ აზრით გაგებულნი ის გენიოსი იყო და, როგორც ასეთი, თავის ადვილს დაიჭერს ისტორიაში.

**ჰელმუტ-ჟონ-ჰერლახ.**

(გერმანელი პაციფისტი, გაზეთ „ველტ—ამ—მონტაგი“-ს რედაქტორი)

რუსეთის პროლეტარიატისთვის ისე ისმის ლენინის სახელი, როგორც გერმანიის ბურჟუაზიისათვის ბისმარკის სახელი. მაგრამ ობიექტიურად ლენინის საქმეს უფრო დიადი მსოფლიო მნიშვნელობა აქვს. უწერია თუ არა მის საქმეს მეტი გამძლეობა ვიდრე ბისმარკის საქმეს? როგორც პაციფისტს, მე მგონია, რომ ის, რაც ისტორიაში შექმნილა ცეცხლითა და მახვილითა ისევე ცეცხლით და მახვილით დაინგრევის.

**პროფ. ვ. ზიუკინგი.**

(გერმანიის რეიხსტაგის და ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალის წევრი).

თვით კაცობრიობის ისტორიასავით ძველია ისტორია კაცობრიობის სილატაკისა. მაგრამ ადამიანს არ შეუძლია მას შეურიგდეს და აუცილებლობად ჩასთვალოს იგი. ორმა ოცნებამ შეადგულა ყველა დროის პოეტი და ფილოსოფოსი. როგორ გაჩნდა ქვეყნად სილატაკე და რა გზითაა შესძლო მისი განდევნა? იგი განსახიერებულია

ლეგენდაში დაკარგულ სამოთხის და ოქროს საუკუნის შესახებ; მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი მეორეა—მისწრაფება დედამიწაზე იდეალის მეუფების შექმნა, შექმნა სახელმწიფოსი, სადაც არავის არა შიან და ყველასათვის უზრუნველყოფილია ღირსეული არსებობა. ყველაზე უფრო გრანდიოზული ცდა ამ იდეალის განხორციელების მთელ მსოფლიო ისტორიაში განიზრახა ლენინმა. როგორც არ უნდა განვსაჯოთ მისი მეთოდები და მისი მიღწევები ეჭვს გარეშე დარჩება მისი წმინდა ნებისყოფა, მისი შეუდრეკელი მისწრაფება გვემულ კაცობრიობის დახმარებისათვის. ამაში ის მაგალითი და ნიმუში გახდება რუსეთის და მსოფლიოს სხვა ხალხების მომავალ თაობებისა. ის იმ ცეცხლის სვეტთაგანი იყო, რომლებიც, კარლელის სიტყვით, გზას უნათებენ კაცობრიობის წინსვლას, სიბნელეში რომ ძლივს იკვლევს გზას.

**ვილჰელმ გერსოგ.**

(გერმანელი ლიტერატორი, ჟურნალ „ფორუმ“-ის რედაქტორი)

ვინ იყო ის? ბურჟუაზიული მწერლები გვიპასუხებენ: ის იყო ფანატისტი, ბოროტმომქმედი, ანტიქრისტიე, ჯოჯოხეთის მოციქული. სოციალ-დემოკრატები მას უწოდებენ ანტიმარქსისტს, თავდაუშკერელ მრღვეველს, უტოპისტს, შეთქმულს, მუშათა მოძრაობის მტერს...

ვინ იყო ის ნამდვილად? რა იყო ის ჩვენთვის? რად დარჩება ის მსოფლიო ისტორიაში?

ყველაზე უფრო გაბედულ, შორსმჭვრეტელ და მომაკვდინებელ მტრად ბურჟუაზიულ წესწყობილებისა, მის მამხილებლად და დამძლევად. შეუბრალებელ, შეურიგებელ კრიტიკოსათ სხვათა შუა გზაზე დგომისა. ანატომის გულგრილობით მან გაჰკვეთა მათი ცხედრები და ამის გამო ყველა ცოცხალი ცხედარი ამხედრდა ლენინის წინააღმდეგ. ლენინი—უდიადესი ექიმი, რომელიც კი ყოლია აქამდე კაცობრიობას. მსოფლიო ბურჟუაზიის გახრწნაში მყოფ ტანს მან ჩამოაცალა ყველა ის მალამო და არტაშები, რომელიც მას დაადევს კეთილისმდომელმა და კეთილსაიმედო სოციალ-დემოკრატ რეფორმისტებმა. დიახ, ლენინმა გაჰკვეთა კაცობრიობის იარები. მან დაგვანახვა, რომ ამ ბურჟუაზიულ წესწყობილების გაუმჯობესება და „რევიზია“ შეუძლებელია, რომ ეს საშინლად გასიებული ტანი კაპიტალისტურ წესწყობილებისა უკვე კვდება ათას კრიზისის გრეხის გამო, რომ ის ერთი კატასტროფიდან მეორეზე გადადის, თვითგამანადგურებელ ომების და ექსპლოატაციის ქვეშ მყოფ კლასთა დახმარების გარეშე მას არ ძალუძს გასძლოს ერთი წუთიც. მაგრამ საჭიროა ხელი ჰკრა იმას, რაც ეცემა და უთუოთ უნდა დაეცეს.

„ფილოსოფოსები იძლეოდნენ საზოგადოების სხვა და სხვა განმარტებას, მაშინ როდესაც საჭიროა მისი გარდაქმნა“. კარლ მარქსის ამ საუკუნო სიტყვების ცხოვრებაში გატარება ვერავინ ვერ შესძლო ისე, როგორც ლენინმა. ის არა მარტო განმარტებას იძლეოდა ქვეყნისას, მას უნდოდა გარდაექმნა იგი. და კიდევ გარდაქმნა მსოფლიო ბურჟუაზიის, ყველა ძალმილეულთა და შუა გზაზე მდგომთა საუბედუროდ, ხოლო დღემდე დატანჯულ კლასთა საბედნიეროდ. იგი გახდა ბელადი მებრძოლ მუშათა კლასისა, იგი მისი ბრწყინვალე წითელი დროშა შეიქმნა.



**დე-მოწი.**

(საფრანგეთის სენატორი)

მე არასოდეს არ მინახავს ლენინი, მაგრამ მე ვიცი რუსის ხალხის მიერ შექმნილი კულტი ლენინისა. მე ხშირად მესმოდა სიტყვები: „ლენინმა რომ ეს იცოდეს“ მე ვნახე სადგომი კრემლში, რომელიც მას შესთავაზეს და რომელზედაც მან უარი განაცხადა და აირჩია უფრო სადა ბინა. მის უღმობელ, სასტიკ ლოდიკის ქვეშ, ალბად, იმალებოდა მეტად ნაზი გული, რადგან კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს მაგალითი, რომ ხალხს ეგლოვოს ბელადი, რომლისადმი იგი არ გრძნობდა სიყვარულს. რუსის ხალხი ჯერ კიდევ ლენინის ავადყოფობას სწუხდა. მე მახსოვს, როგორის პატივისცემით ეპყრობოდნენ საბჭოთა რუსეთში იმ ექიმებს, რომლებით ექიმობდნენ ლენინს. მე მახსოვს, რომ ჩიჩერინი ისეთივე სინაზით ლაპარაკობდა ლენინზე, როგორც ხალხის შვილები. მე ვერ ავიღებ ჩემ თავზე ლენინის განსჯას. მე თავს ვიხრი ადამიანურ ბუნების იშვიათ მოვლენის წინაშე, რომელსაც კარლელი უთუოთ შეიტანდა თავის პანთეონში.

**ერრიო.**

(საფრანგეთის პალატის დეპუტატი)

ზედმეტია თქმა იმისი, თუ რა დაშორებული ვიყავი მე ლენინის მოძღვრებასთან, მაგრამ მე ყოველთვის აღტაცებული ვიყავი მისი სახელმწიფოებრივ ადამიანის განსაკუთრებულ ნიჭით, მისი გამბედაობით, ენერგიით და ნამდვილ ენციკლოპედიურ განათლებით. მე დარწმუნებული ვარ, მას რომ ეცოცხლა, იგი კიდევ ბევრ რამეს გააკეთებდა თავის ქვეყნისათვის, რადგან იგი იყო ადამიანი, რომელსაც შეეძლო ყოველგვარ მდგომარეობის დაფასება და ყოველთვის გამოსავლის გამონახვა.

**ვიქტორ ბაუ.**

(სორბონის პროფესორი და ადამიანის უფლებათა დაცვის ლიგის თავმჯდომარის ამხანაგი).

ლენინი მოქმედების გენია იყო. ლენინი სჭირდებოდა რუსეთს ცარიზმის მოსაშორებლად და სოციალიზმის იდეების დასამყარებლად ისე, როგორც თავის დროზე საჭირო იყო პეტრე დიდი რუსეთის ევროპის კულტურისათვის საზიარებლად. ლენინს არ ეშინოდა სისასტიკის, როდესაც იგი საჭირო იყო იმ საქმისათვის, რომელიც მას სწამდა. ჩვენ დემოკრატებს, არ შეგვიძლია გავიზიაროთ ლენინის მეტოდები: ჩვენ არ შეგვიძლია მივიღოთ რუსეთის რევოლიუციის ტერორი ისევე, როგორც არ შეგვიძლია მივიღოთ საფრანგეთის რევოლიუციის ტერორი. მაგრამ მე მაინც აღტაცებული ვარ ლენინით, როგორც ერთად ერთი დიდ პიროვნებით, რომელიც მოგვცა ისტორიამ მსოფლიო ომის შემდეგ.

**კენლევე.**

ლენინი—გასაოცარი პიროვნებაა, ჩვენთვის, ევროპიელ ადამიანებისათვის, ძნელად გასაგები. ჩვენ აღტაცებულნი ვიყავით მისი განსაკუთრებული ნების ყოფით, ყოველთვის ცოცხალ ენერგიით, რომელსაც არ ეშინოდა დამარცხების, რომელიც აღსავსე იყო ახალ ძალებით. ყოველ შემთხვევაში მისი გავლენა მსოფლიო მოვლენებზე არასოდეს არ წაიშლება.

**კ. ფონ-ოხეიმი.**

(რეისტაგის წევრი-ქალი, სტინესის პარტიის წევრი)

მე ყოველთვის აღტაცებაში მოვყავდი ლენინს როგორც ადამიანს, რომელმაც თავისი სული შესწირა თავის ხალხს. ღმერთმა მისცეს ჩვენ გერმანელ ხალხს ამ მძიმე წლებში ლენინის მზგავსი ადამიანი!

**ალფრედ კერ.**

(გერმანელი ლიტერატორი და კრიტიკოსი).

ლენინმა თავის თანამშრომლებთან ერთად წამოიწყო განხორციელება ყველაზე უდიდეს სოციალურ ექსპერიმენტისა, რომელთაც კი ჰქონიათ ადგილი ორი ათასი წლის განმავლობაში.

ორი ათასი წლის განმავლობაში ყველა ამის მზგავსი ცდები უნაყოფო იყო, ხოლო ლენინი შეუდგა საქმეს ახალის იერით და საფუძვლიანად. როგორც მომქმედი პიროვნება ის მსოფლიო ისტორიული ფიგურაა.

მტრები სისასტიკეში ამტყუნებენ მას. იგი იყო საფუძვლიანი და მიმოქოლი განმახორციელებელი გრანდიოზულ ზნეობრივ იდეისა.

ეს ისეთი მიცვალებულია, რომელიც არა ერთხელ აღსდგება ასეულ ფორმაში, სანამ ჩვენ მიწიერ ქაოსიდან არ წარმოსდგება ჭეშმარიტება.

**ბერნარდ შოუ.**

(ინგლისელი მწერალი).

ზედმეტია ლენინისთვის ქების შესხმა ეხლა, როდესაც ის გარდაიცვალა. მე ბედნიერი ვარ, რომ ექვსი წლის წინად, როდესაც ინგლისის პრესის ცილისწამებამ ლენინის მიმართ გადააჭარბა 1780 წელში ყოფილ მეორე ვაშინგტონის ცილისწამებას და როდესაც ინგლისის მთავრობამ 100 მილ. სტერლინგი დაახარჯა ლენინის მტრებს, მე ბედნიერი ვარ, რომ მე მივესალმე მაშინ ლენინს, როგორც ევროპის უდიდეს სახელმწიფო მოღვაწეს ერთ-ერთ ჩემ წიგნზე მიძღვნილ წარწერაში, რომელიც მე გაუგზავნე ლენინს. მე ვიმედოვნებდი, ამით ლენინს დაენახა, რომ ინგლისში სცხოვრობენ არა მარტო პოლიტიკური ბრძელები და ბურჟუაზიულ პრესით გაბრიყვებულნი. მაგრამ რადგანაც იმ დროს საფოსტო კავშირი რუსეთთან მეტად გაძნელებული იყო და მძვინვარებდა ცენზურა, ვშიშობ, რომ ეს წიგნი, თუმცა იგი რუსეთის მისიის საშუალებით იყო გაგზავნილი, არ მივიღოდა დანიშნულებისამებრ. საბედნიეროდ ჩემი ამანათი არ გამოდგა აუცილებელი. ბრიტანეთის მთავრობამ დიდის განცვიფრებით დაინახა, რომ ინგლისის პროლეტარიატი გარკვეულად ჰკიცხავს მთავრობის მიერ ლენინის მტრების დახმარებას და რომ იგი აშკარა მტერია ასეთი ანტილენინიზმისა. მე არ ვეჭვობ, რომ დადგება დღე, როდესაც ლონდონში გეორგ ვაშინგტონის ძეგლის გვერდით აღმართავენ ლენინის ძეგლსაც. შემძილია დაუშატო, რომ თუმცა მე არასოდეს არ გამიშვია შემთხვევა ინგლისელ საზოგადოების წინაშე გამოძეთქვა ჩემი აღტაცება ლენინით, ჩემ სახელს ამით არაფერი არ დაჰკლებია და მე არც ერთხელ არ განმიცდია შემოტევა ჩემი აზრის გამო ლენინზე, რასაც უთუოთ ექნებოდა ადგილი იმ შემთხვევაში ლენინს რომ აფასებდნენ ჩვენში ისე, როგორც რეაქციონერები აცხადებენ.



### ქართველ მუსულმანთა დამხმარე კულტურული საზოგადოების დამფუძნებელი კრება.



ანასტასია ერისთავ-ხოშნარია.

### ან. ერისთავ-ხოშნარიას იუბილა.

კვირას, 9 მარტს, რუსთაველის თეატრში შესდგა მწერალ-რომანისტ ქალის ან. ერისთავ-ხოშნარიას 35 წ. სამწერლო მოღვაწეობის იუბილე. საღამო დაიწყო ვ. კოტეტიშვილის სიტყვით, რომლითაც მან დაახასიათა იუბილიარის შემოქმედება და მისი უმთავრესი მოტივები. მეორე განყოფილებაში წარმოდგენილ იქნა უკანასკნელი სურათი იუბილიარის რომანიდან „მოლიბულ გზაზე“.

ყვავილებით მორთულს სცენაზედ იუბილიარი შემოიყვანეს ეკ. გაბაშვილმა და ვას. ბარნოვმა. შემდეგ დაიწყო მილოცვები: კრება გახსნა საიუბილეო კომიტეტის სახელით ს. აბაშელმა და ამასთანავე წაუკითხა იუბილიარს აღმასკომის, საქართველოს სახ. კომ. საბჭოს და განათლების კომისარიატის ადრესი, რომელთაც იუბილიარს უძღვნეს 500 მანეთი და დამსახურებულ მწერალი ქალის სახელით მიესალმა ნ. შიუკაშვილი. მხატვართა საზოგადოების—მოსე თოიძე. განათლების კომისარიატის სალიტერატურო ნაწილის—ნ. ნაკაშიძე, მწერალთა კავშირის—ს. ფაშალიშვილი. მე-7 ტეხნიკუმის მოწაფე ქალებმა მიართვეს ყვავილები და ადრესი. მე-12 და 11 ტეხნიკუმის მოწაფეებმა ლექსებით მიულოცეს. წაკითხულ იქმნენ მრავალი წერილობითი მილოცვები: ხელოვანთა კავშირის სახელით—კ. მაყაშვილის, პროლეტარულ მწერალთა კავშირისაგან, ეთნოგრაფიულ-საზოგადოებიდან, წითელი ჯვრის საზოგადოებიდან და სხ. დები თარხნიშვილების გუნდმა მიულოცეს იუბილიარს სიმღერით. ბოლოს სამადლობელი სიტყვით მიმართა ხალხს თვით იუბილიარმა და მადლობა გადაუხადა ყველას მისი ასე დაფასებისათვის. საზოგადოებამ ფეხზე ადგომით ოვაციები გაუმართა იუბილიარს.

მარტის 9-ს სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში შესდგა ქართველ მუსულმანთა დამხმარე კულტურული საზოგადოების დამფუძნებელი კრება ი. ლორთქიფანიძის თავმჯდომარეობით. თავმჯდომარემ საზოგადოებას გააცნო დამტკიცებული წესდება ქართველ მუსულმანთა დამხმარე კულტურულ საზოგადოებისა. საორგანიზაციო კომიტეტის წევრმა პ. საყვარელიძემ თავის სიტყვაში განუმარტა დამსწრეთ ამ საზოგადოების დაარსების მიზანი, მოკლეთ შეეხო მის მომავალ მუშაობის გეგმას. შემდეგ მან მუხლობრივ გააცნო კრებას საზოგადოების წესდება. შემდეგ ზ. ჭიჭინაძე შეეხო საზოგადოების დაარსების მიზანს და საჭიროდ სცნო რომ ყოველ მხრივ გამორკვეული იყოს ქართველ მუსულმანთა ისტორიული და თანამედროვე მდგომარეობა, როგორც საქართველოს საზღვრებში, ისევე საზღვარ გარეთ სპარსეთსა და ოსმალეთში. მან აღნიშნა რომ საზოგადოების მხრივ მადლობის ღირსია არსებული ჩვენი ხელისუფლება რომ ამ საზოგადოების წესდება დაამტკიცა და ჩვენ საშუალება გვეძლევა მთავრობის სრული დახმარებით ახლო მომავალში შეუდგეთ მნიშვნელოვან საქმის განხორციელებას.

აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ წესდება ერთხმად იქნა მიღებული და არჩეულ იქმნა გამგეობა და სარევიზიო კომისიის წევრები. არჩეულნი არიან გამგეობის წევრები: დავით კანდელაკი, ი. ლორთქიფანიძე, ზ. ჭიჭინაძე, სულეიმან დიასამიძე, მ. მაჩაბელი, რეჯებ ნიჟარაძე, პ. გოთუა, პ. საყვარელიძე, პ. კიკალიშვილი, ალ. შანშიაშვილი, ს. ჟორჯოლიანი, გ. ჩხეიძე, გ. ბიაშვილი, ნ. თავდგირიძე, გ. გველესიანი. კანდიდატებად: ა. მიქაბერიძე, ი. ბილანიშვილი, ტ. ხუნდაძე, ვ. გაბაშვილი, ა. აბესაძე და სხ. საზოგადო კრებამ ერთხმად აირჩია გამგეობის საპატიო წევრებად: ისკანდერ ცივაძე და ოსმან მოწყობილი. საზოგადოების ახლად არჩეული გამგეობა ამ დღეებში შეიკრიბება და აირჩევს პრეზიდიუმს, რომლის შემდეგ საზოგადოება შეუდგება თავის მოქმედებას.



ტფილისის აღმასკომის დადგენილებით ტფილისის ერთ ქუჩას ეწოდა ან. ერისთავ-ხოშნარიას ქუჩა.

ქალაქის ტიპები.



# ქ რ ო ნ ი კ ა

## 30 მარტს, რუსთაველის თეატრში გაიმართება ნიკო გოციონის იუბილე.

**ახალი წიგნი „მიწა“:** დაიბეჭდა საიუბილეო გამოცემა, ან. ერისთავ-ხოშტარიას მოთხრობათა კრებული „მიწა“. წიგნი შეიცავს 400 გვერდს. დართული აქვს ავტორის სურათი და კრიტიკული წერილი.

**„სოლომონ მეჯღანუაშვილი“.** სახელ. გამომცემ. მიიღო გამოსაცემად ლავრენტი არდაზიანის ცნობილი რომანი: „სოლომონ ისაკი მეჯღანუაშვილი“.

**„სურამის ციხე“.** სახელ. გამომც. მიიღო გამოსაცემად დ. ჭონჭაძის „სურამის ციხე“ წიგნი გამოვა დასურათებული.

**საბავშვო წიგნების გამომცემლობა.** „ჯეჯილი“-ს ყოფილი რედაქტორი ან. წერეთელის ხელმძღვანელობით დაარსდა საბავშვო წიგნების გამომცემლობა „ჯეჯილი“.

**„მამის მკვლელი“ ეკრანზე.** სამშაბათიდან უჩვენებენ კინო თეატრ „არფასტოსა“ და „აპოლო“-ში ახალ კინო-სურათს „მამის მკვლელს“, რომლის სიუჟეტიც აღებულია ა. ყაზბეგის ცნობილი რომანიდან. სურათში უმთავრეს როლებს ასრულებენ მსახიობნი: ვ. სარაჯიშვილი, ანდრონიკაშვილი-ვაჩნაძისა, ა. ვასაძე და კ. ანდრონიკაშვილი. სურათი გამოცემულია საქ. სახელ. კინო მრეწველობის სააქციო საზოგადოების მიერ.

**„წყნეთელი მაია“ ეკრანზე.** ს. კ. პ. ც. კ. ქალთა განყოფილების კოლეგიამ განიხილა სცენარი კინოსთვის საქართველოში ქალთა მოძრაობის ისტორიიდან 18 საუკუნეში „წყნეთელი მაია“ შედგენილი მ. ხუხუნაიშვილის მიერ. კოლეგიამ მოიწონა სცენარი და გამოჰყო კომისია, რომელიც ავტორთან სცენარს დეტალურად დაამუშავებს, რის შემდეგაც სურათს გადაიღებს სახელმწიფო კინომრეწველობა.

**მსახიობი ქალის მ. მდივნის იუბილე ბათუმში** 2 მარტს ბათუმის აკადემიურ თეატრში იუბილე გაუმართეს მსახიობ მარო მდივანს. წარმოადგინეს ვ. შალიკაშვილის პიესა „ბიუროკრატები“. პიესის დასრულების შემდეგ გაიმართა საზეიმო სხდომა, ა. ქავთარაძის თავმჯდომარეობით. იუბილიარს სახკომსაბჭოს სახელით მიანიჭეს აჭარისტანის სახალხო მსახიობის წოდება. მილოცვები იყო ბათუმის ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებიდან და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. იუბილიარმა მიიღო საჩუქრები.

**ტ. აბაშიძის იუბილე ქ. ფოთში.** მსახიობ ქალმა ტ. აბაშიძემ ფოთის ქალაქის აღმასკომისიისგან მიიღო მიწვევის ბარათი იუბილეს გასამართავათ.

**რეჟისორ ნ. ბოგოლიუბოვის ჩამოსვლა.** ტფილისში ჩამოვიდა რეჟისორი ნ. ბოგოლიუბოვი, რომელსაც მინდობილი აქვს შეუდგეს მოკლე დროში, ოპერის თეატრში ოფენბახის ცნობილ ოპერის „გოფმანის ზღაპრების“ დადგმის სამზადისს.

**მომღერალ სობინოვის გასტროლები.** ამ მოკლე დროში დაიწყება რუსეთში ცნობილი მომღერალის სობინოვის გასტროლები ოპერის თეატრში. სობინოვი იმღერებს შემდეგ ოპერებში: „ლოენგრინი“, „დუბროვსკი“ „ტრავიატა“ და „ევგენი ონეგინ“-ში.

**მუსიკალური კრებული ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად.** მოსკოვის პროლეტარულ მემუსიკეთა ასოციაცია ამზადებს გამოსაცემად ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად მუსიკალურ კრებულს. მონაწილეობის მისაღებათ მიიწვიეს პოეტები და მუსიკოსნი.

**ახალი პიესა.** ივ. გომართელმა დასწერა ახალი პიესა: „ისინი არიან“.

**„სპარტაკი“ სცენაზე.** სახ. სახლის ქართულ დრამის მსახიობნი შეუდგნენ ა. შანშიაშვილის დრამის „სპარტაკი“-ს რეპეტიციებს ივ. ბარველის რეჟისორობით. პიესისათვის კომპ. დ. არაყიშვილი სწერს საგანგებო მუსიკას. სახალხო სახლის გამგებამ ამ პიესისთვის დეკორაციების დახატვა შეუკვეთა ვლ. სიდომონ ერისთავს. პიესა დაიდგმება აპრილის შუა რიცხვებში.

**„სულელი“ რუსულ ენაზედ.** რუსული სახელ. აკადემიური დასის მსახიობნი ამზადებენ დასადგმელად რუსულს ენაზედ ნ. შიუკაშვილის პიესას „სულელს“. ესავე დასი ამზადებს კ. მარჯანიშვილის რეჟისორობით ნ. ევრენოვის პიესას „სულ უმთავრესი“.

**სამხატვრო სტუდია.** 10 მარტს პლენაროვის სახელობის კლუბთან გაიხსნა სამხატვრო სტუდია მუშებისათვის. სტუდიაში იმეცადინებს 40-მდე მუშა.

**ქართული არქიტექტურის გამოფენა.** საქართველოს მუზეუმის დარბაზში გაიხსნა ქართული ძველი არქიტექტურული ძეგლების გამოფენა. გამოფენა გასტანს მარტის 16-მდე. შესვლა უფასოა.

**ქართველ ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოებაში.** უკვე შეუდგნენ რეპეტიციებს კონცერტის გასამართავათ, რომელიც ამთვის ბოლო რიცხვებში გაიმართება. კონცერტის პროგრამაში შედის უმთავრესად ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებნი. ლოტბარათ მოწვეული ჰყავთ ზ. ფალიაშვილი.

**ახალი კლუბი.** 8 მარტს გაიხსნა ახალი კლუბი (ყოფილი ქართული კლუბი). თეატრი და კლუბი საფუძვლიანად შეაკეთეს. თეატრში გაიმართება წარმოდგენები.

**„წითელი თეატრი“** 1 მაისს გაიხსნება პროლეტარული „წითელი თეატრი“. გახსნის დღეს წარმოდგენილი იქნება ვერპარნის „რიჟრაჟი“.

**ი. გულისაშვილის 35 წლის იუბილე საგარეჯოში.** დამსახურებელ მასწავლებელს და მწერალს ი. გულისაშვილს კვირას 9 მარტს სოფელ საგარეჯოში საზოგადოებამ გადაუხადა 35 წ. მოღვაწეობის იუბილე. მის კალამს ეკუთვნის პიესები: „დრონი მეფობენ“ და „ცხოვრება ბრძოლა“.

**მსახიობ ვრუირის გარდაცვალება.** ტფილისში გარდაიცვალა სომხური თეატრის დამსახურებული მსახიობი (კომიკი) ვრუირი. განზრახული იყო ახლო ხანში განსვენებულისათვის გადაეხადათ მისი 40 წლის იუბილე.

**ცენტრალურ მუშათა კლუბში.** სახელმწიფო ოპერის მომღერალთა მონაწილეობით წარმოდგენილ იქმნა 4-მარტს ცნობილი ოპერა „ჯამბაზები“. წარმოდგენამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მუშათა აუდიტორიაზე. დარბაზი მთლად გაჭედილი იყო.

**წარმოდგენა-სალამო ყოფილ პოლიტკატორელთა საზოგადოების სასარგებლოთ.** ოთხშაბათს 12 მარტს რუსთაველის თეატრში თებერვლის რევოლიუციის 7 წლის



თავზე ყოფილ პოლიტიკატორღელების და გადასახლებულთა საზოგადოებამ გამართა წარმოდგენა-კონცერტი. რუსულ დრამის მსახიობთაგან წარმოადგინეს ლ. ანდრეევის მოთხრობიდან გადაკეთებული „შვიდი ჩამოხრჩობილი“. წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ქართული დრამის მსახიობთა დონაურმა და დავითაშვილმა. ასეთივე წარმოდგენა გაიმართა ამავე საღამოს მუშათა ცენტრალურ კლუბში.

**წარმოდგენა ტფ. ხაზინაში.** 8 მარტს ქალთა საერთაშორისო დღესასწაულის დღეს ტფილისის ხაზინაში გაიმართა რუსულ-ქართულ ენაზე წარმოდგენა-საღამო ად-

გილობრივ მოსამსახურეთა მონაწილეობით. წარმოდგენის დაწყებამდე წარმოთქმული იყო სიტყვა ქალთა დღის შესახებ.

**წარმოდგენა მე-18 ე შრომის სკოლის სასარგებლოთ.** ორშაბათს, 16 მარტს წითელ არმიელთა კლუბში (ყოფილი მცირე თეატრი) დღისით მე-18-ე სკოლის სასარგებლოთ გაიმართება საბავშვო წარმოდგენა, რომელშიც მონაწილეობენ ამავე სკოლის მოწაფენი. წარმოდგენილ იქნება ორი პიესა: 1) „ზღაპარი ფერია“ 2) „ნაძვთა ზეიმი“.



„სოციალისტი“ ნინიძე და ბარათაშვილი: რა მძიმეა „წმინდა“ კონტრ-რევოლუციის დანაშაული, ასე არც ერთი დანაშაულის ზიღვა არ გაგვკირვებია.



პასუხისმგებელი რედაქტორი: მ. კახიანი.

გამომცემელი: სახელმწიფო გამომცემლობა.



საქართველოს ცენტრალური  
კოოპერატიული კავშირი

# საბაჟო

## საბანკო განყოფილება ღებულობს

კოოპერატიულ, პროფესიონალურ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებისა და კერძო პირებიდან

## შესანახავ თანხას

ვადიანს, უვადოს და მიმდინარე ანგარიშზე, შემნახველის სურვილისამებრ ჩერვონცებით და ჩერვონული გამთანგარიშებით.

## აწარმოებს ფულის გადაბრუნებას

ჩერვონცებით და ჩერვონულ გამთანგარიშებით საქართველოს რესპუბლიკის ევალა ქალაქებში.

საბანკო ოპერაციები სწარმოებს დილის 9—2 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე



ა. ს. ს. რ. **სახელმწიფო მალაზია** ა. ს. ს. რ.

ვაჭრობა-მრეწველობის სახალხო კომისარიატისა.

ბაქო, ფილტოვისა ქუჩა, ს. № 4. (ყოფილი „ბარბატიანის“) ტელ. № 2—74.

**ახალ მიღებული ფილი პარტია**

მეტად საჭირო სასოფლო მანუფაქტურისა.

ტრიოხგორის, გროხოროვის და სხვა რუსეთის ტრესტების ნაწარმოებნი:

ნარგა, ტილო, გადაპლაში და მზა საცვლები  
მატულის მატარებელი და ყოველნაირი გალანტერია.

**მზა საბნები:** ფესსაცმელები, „სკოროხოდის“ ფაბრიკის, ქაღის, ბავშვის, მამაკაცის. კალსონები ქაღის, ბავშვის და მამაკაცის. ჩულკები, წინდები და სხვა.

მიიღება გასასყიდად საქონელი საკომისიოდ.

**ფოტოგრაფ**

**ბ. კოზაპის**

მიერ მოსკოვში გადაღებულია სურათები

**ამხ. ლენინის**

დავრძალვის გორაკში, მოსკოვში და აგრეთვე მთელი რიგი ჯერ კიდევ გამორეცხული

**ლენინის სურათებისა**

ფოტოგრაფიას აქვს აგრეთვე გადაღებული რუსეთის რევოლუციის ბუღალის დავრძალვის დღის პრეტესი ცვილისში. ფოტოგრაფია ღებულთხს დაჯუთუხს ამ სურათებზე სპეციალურად „ლენინის კუთხის“-თვის.

ფოტოგრაფია ღიაა ღღის 9—5 საათამდე, თავისუფლების მოედანი, სოლოლაკის ქუჩის კუთხე.



# გ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა

## კომისიის სხდომაში

რომელიც აწესრიგებს მოქალაქეთა ჯარში გაწვევის სიის რიგს, რომელნიც უნდა აღრიცხულ იქნენ გასაწვევ უბნებში ქალაქ ტფილისში, სწარმოებს ტფ. აღმასკომის შენობაში ყოველ დღიურად საღამოს 5—7 საათამდე.

(ოთახი № 55, შესავალი ველიამინოვის ქუჩიდან № 3) იქვე მიიღება განცხადებები მოქალაქეთა სათანადო დოკუმენტებით ოჯახურ და მატერიალურ მდგომარეობის გამო შელ. მიცემის შესახებ.

კომისიის თავმჯდომარე **ბ. ბახტაძე.**

ელექტრონის და სინათლის

## ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ი

საწოლებით რენტგენი დარსონვალი

**ვიხაილ გედევანიშვილის** სასწავლოების

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ,

სამკურნალოს ხელმძღვანელობს **ე. სვიმონ უიფშიძე.**

ტფილისი, ყორგანოვის ქუჩა № 20.

6 მარტს სამიწად-მოქმედო კომისარიატის ღვინოების ფასებში მოხდა

➤ ცვლილებები ➤

## ფასები ღაკლებულია

კონიაკზე და შამპანიურზე

შეცვლილი

## პრეისკურანტი

სამიწად-მოქმედო კომისარიატის სახალხო ღვინის საწოებისა:

ნაფარეული №№ 66 და 67 აკციხ. . . . .	45 კ. ბოთ.	ღვინო 1917 წლის და უფრო ძველი . . . . .	2 მ.
წინანდალი №№ 64 და 45 . . . . .	60 კ. "	შამპანიური 1 მ. 50 კ. და აკცი. 1 მ. 35 კ. 2	მ. 85 კ. "
მუკუხანი №№ 65 და 45 . . . . .	45 კ. "	კონიაკი 1 მ. 25 კ. აკცი 35 . . . . .	1 მ. 60 კ. "
თელიანი № 48 . . . . .	1 მ. 40 კ. "	ცარიელი ყუთი ჩალაგებით . . . . .	2 მ. 50 კ. "
აფხანაური №№ 55 და 75 . . . . .	35 კ. "	კონიაკისა და ღვინის ცარიელი ბოთლი . . . . .	15 კ. "
სასუფრო № 22 . . . . .	35 კ. "	შამპანიურის ცარიელი ბოთლი . . . . .	20 კ. "
" " № 18 . . . . .	30 კ. "		

**ღვინოები**

მიწ. სახ. კომ. ყოფ. საუფლისწულო მამულების

**ნატურალურია და დამდგარი**

**ჩ ა ი**

ჩაქვის ნატურალურ ჩინური იუჩქებიდან დამზადებული

მოთხოვნილება მითუმად უნდა გაიგზავნოს მიწ. სახ. კომ.-ში.



ყოფილ „კალას ოტელი“-ს შენობის აღმდგენელი სააღმშენებლო კომისია აცხადებს

# სატარი = = პატრობას

დაბეჭდილ კონვერტებში განცხადებების მიცემის საშუალებით

## სამღებრო სამუშაოებზე

განცხადებებს უსათუოდ უნდა დაერთოს საწინდარი

### ათასი მანეთისა ჩეკონაცით

რომელსაც კომისია დაიტოვებს თავის სასარგებლოთ იმ შემთხვევაში, თუ განცხადების შემტანი უარს იტყვის ხელშეკრულების დადებაზე თანახმად სავაჭრო კონდიციებისა, ტექნიკურ პირობებისა და განცხადებულ ფასებისა.

განცხადების შეტანის საბოლოო ვადა აგვ გარტის 17-ს  
1 საათამდე.

სავაჭრო კონდიციები, ტექნიკური პირობები და სხვა ცნობები შეიძლება მიღებულ იქნას შავი ქვის მრეწველთა განსაკუთრებულ მმართველობის კანცელარიაში (ტროცკის ქუჩა № 20) ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა დღის 12—2 საათამდე.




ცარიცინის სახელმწიფო საუბრო გაერთიანება  
ცხუეს

„**სარპაისტორი**“

ტფილისის განყოფილება:

თავისუფლების მოედანი, მ. ტელეფონი 17-17.



**სარისინის სახელმწიფო**

**ქარხნების პროდუქცია:**

ლურსმნები, მავთული, რკინა — სარისინი, სასურავი, ბრტყელი, შინების, საღტის, რკინა — ნაწრობი, ბოლტები, საკლიოპები, ასფალტი, სარეცხის საპონი, გარჩიცის ზეთი, სარეპტის გარჩიცა.

**ხის მასალა, ტყავის საქონელი.**

**ფასები საკმაოდ დაკლებულია**

სახელმწიფო ორგანოებს და კოოპერაციებს — განსაკუთრებული შეღავათიანი პირობები.  
რწმუნებული საქართველოსა და სომხეთში თ. თ. ბეთანელი.



# საშემოსავლო გადასახადი

ა. კ. ფინსახკომის რწმუნებული  
საქართველოში აცხადებს

სამხედრო მოსამსახურეების და მილიციონერების, აზრითვე დაწესებულების, წარმოების და მუშა-მოსამსახურეების საშუალებად შეგდებას:

1) თანახმად ა. კ. ც. ა. კ. და ა. კ. სახალხო კომისართა საბჭოს ა. წ. 11 თებერვლის დეკრეტისა, რომელიც გამოქვეყნებული იყო გაზეთ „ზარია ვოსტოკა“ ა. წ. 13 თებერვლის 502 №-ში, საქართველოს რესპუბლიკის ფინანსსპექტორების მიერ შემოხსენებულ პირთათვის დაგზავნილი გადასახადის ფურცლები მათზე გაწერილ საშემოსავლო გადასახადის რაოდენობის შესახებ გაუქმებულია.

2) სამხედრო მოსამსახურენი და მილიციონერები (მილიციის მწყობრი შემადგენლობა), თუ მათ არა აქვთ შემოსავალი სხვა წყაროებიდანაც, გარდა სამუშაო ხელფასისა, თავისუფალნი არიან საშემოსავლო გადასახადით დაბეგვისაგან.

3) დაწესებულებების, წარმოებების და მეურნეობის მოსამსახურენი, თუ მათ არა აქვთ შემოსავალი სხვა წყაროებიდანაც, გარდა სამუშაო ხელფასისა, და სამსახურში ყოველგვარი გასამრჯელოდან მიღებული მათი ექვსი თვის შემოსავალი 1923 წრის 1-ლ აპრილიდან 1-ლ ოქტომბრამდე არ აღემატება 450 ჩრვ. მ. თავისუფალნი არიან საშემოსავლო გადასახადით დაბეგვისაგან. მუშა-მოსამსახურენი, რომელთაც არა აქვთ შემოსავალი სხვა წყაროებიდან, გარდა სამუშაო ხელფასისა, იბეგრებიან გადასახადით:

- ა) 450 მან. შემოსავლის ზევით 500 მანეთამდე — 3 ჩრვონეცის მანეთი
- ბ) 500 მან. შემოსავლის ზევით 650 მანეთამდე — 5 ჩრვონეცის მანეთი
- გ) 650 მან. შემოსავლის ზევით 800 მანეთამდე — 8 ჩრვონეცის მანეთი
- დ) 800 მან. შემოსავლის ზევით და სხვა გადასახადის განაკვეთები უნდა დაწეულ იქნას ორი ხარისხით იმ ცხრილის მიხედვით, რომელიც დაწესებულია ექვსი თვის პერიოდისთვის.

გადასახადის ფურცლების გაუქმების მაგივრად მუშა-მოსამსახურეებს რაიონულ საშემოსავლო გადასახადის კომისიების მიერ დაგზავნილი ექნებათ მილიციის საშუალებით ახალი გადასახადის ფურცლები.

4) თანახმად ა. კ. ფინსახკომის 1924 წ. თებერვლის დადგენილებისა, რომელიც გამოქვეყნებული იყო გაზეთ „ზარია ვოსტოკა“ ა. წ. 14 თებერვლის 503 №-ში, მუშა-მოსამსახურეზე, რომელთაც არა აქვთ შემოსავალი სხვა წყაროებიდან, გარდა სამუშაო ხელფასისა, გაწერილი 1923--1924 წ.წ. პირველი საგადასახადო ნახევარ წლის საშემოსავლო გადასახადი, უნდა დაკავებული იქნეს დაწესებულებების და დამქირავებელთა მიერ იმ სიებით, რომლებსაც გაუგზავნიან მათ რესპუბლიკის ფინანსსპექტორები, ამ ვადაში, შრომის ხელფასიდან ყოველთვიურად, თებერვლის თვიდან დაწყებული, გადასახადის რაოდენობის ერთი მესამედის, რომელიც გადაყვანილი უნდა იქნეს ა. კ. ფულის ნიშნებზე, დაკავებულ დღის კურსით, საურავის დაურიცხავად.

თუ ვინიციობაა მუშა მოსამსახურე დათხოვნილი იქნება სამსახურიდან, მასზე შეწერილი საშემოსავლო გადასახადი დაკავებული უნდა იქნეს დამქირავებლების მიერ სრულიად უკანასკნელ მისაცემ გასამრჯელოდან ან ჯამაგირიდან.

დაკავებული ფული უნდა შეტანილი ან გადაგზავნილი იქნეს ფოსტით დაწესებულების, წარმოებებისა და კერძო დამქირავებლების მიერ ფინსახკომის სალაროებში სამი დღის განმავლობაში დღიდან დაკავებისა, სიის დართვით, რომელშიაც აღინიშნება: ა) გადამხედელის სახელწოდება, ბ) გადასახადის ფურცლის № და საფინანსო რაიონი, რომელსაც გამოუანგარიშნია გადასახადი, გ) გადასახადის რაოდენობა და დ) სიით დაკავებულ გადასახადის ჯამი.

ა. კ. ფინსახკომის საქართველოში რწმუნებულების მაგიერ **ლ. ლოლობერიძე.**

გადასახადთა განყოფილების მმართველი **ი. ჩიქოვანი.**

პირდაპირ გადასახადთა გამგე **ა. ბეზირგანიშვილი.**